140
1977

ეროვნული
ბიბლიოთეკა

II 1977

ცოცხალი წყალი



ლენინის ანდერძს მივყვებით

ლენინის ანდერძს მივყვებით,
მისი დიდი მზის ნაშუქარს,
ეს სიხარული, ხალისი
დიდმა ლენინმა გვაჩუქა.
ლენინის ანდერძს ვასრულებთ,
მის დიად აზრებს მივყვებით,
სხივებად მიმობნეულა
მისი უკვდავი სიტყვები.
ლენინის ანდერძს ვასრულებთ,
ის იყო სხივთა მთესავი,
სამშობლო ცამდე ვამაღლოთ,
ჩვენი მიზანი ეს არის!
ვინც ჩვენთან ძმობა ისურვა,
ძმად და მეგობრად ვიცანით.
ძმები ვახაროთ, ვამრავლოთ,
ეს არის ჩვენი მიზანი.
ლენინის ანდერძს მივყვებით,
მისი დიდი მზის ნაშუქარს,
ეს სიხარული, ხალისი
დიდმა ლენინმა გვაჩუქა.

მთქმელი გ. დეკანოიძე,
საჩხერე, სოფ. მერჯევი.

ავთანდილ
გურგენიძე

ოქტომბრის საბალოსელი

მხატვარი
ი. სამსონაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლოგი

ეს ლექსი უნდა დავიწყო შენით:
ახლა,
ამ წუთას ჩემს გვერდით ზიხარ
და სტრიქონების წერაში მშველი,
თუმცა არ ვიცი,
სადა ხარ,
ვინ ხარ.
ეს კია,
უკვე ერთმანეთს ვიცნობთ,
შენი რა ვთქვა და...
მე კი — მიყვარხარ...
შავთვალა გოგო,
მერცხალა ბიჭო,
შენთვის სხვანაირ რითმებს ვინახავ.
შენთვის სხვანაირ ფერებს ვინახავ,
ახლა გიხატავ სხვანაირ სურათს.
რომ არ ვიცოდე,
მართლა ვინა ხარ —
არ მოგაცდენდი, ძვირფასო,
სულაც.
კიდეც გიცნობ და
კიდეც მჭირდები,
(ალბათ მეც სადღაც გეიმედები),
წუთით დავტოვოთ ჭრელი ჩიტები,
მწვანე მინდვრები,
ლურჯი ქედები.
წუთით შეეშვი წერას და ხატვას,
წუთით შეეშვი საყვარელ საქმეს.
ხელი ჩამკიდე,
გადავხსნათ ფარდა...
ჩავხედოთ წარსულს —
დაორთქლილ სარკეს,
დღევანდელობას წარსულიც ავსებს
და მზით სულდგმულობს სამშობლო
ვრცელი.
შეხე,
მზისფერად ანათებს ცაზე
ის — 1917 წელი!

1917 წელი

ამ ისტორიას —
გადამკიდეს ათასი რამის —
უხილავს ჟამი
ასატანად ძალიან ძნელი:
ჭიდილი აზრის,
ორთაბრძოლა დღისა და ღამის,
შენება ახლის,
გაოცება,
დამსხვრევა ძველის...
მაგრამ სულ სხვაა 1917 წელი!
ამოსვლა მზისა,
უწითლესი დროშების გაშლა...
„ავროორას“ ზალპი
და ლენინის გაწვდილი ხელი...
მილიონების გულებიდან
მომსკდარი „ვაშა“...

საქართველოს ა.ლკკ ცკ-ის და
ვ. ი. ლენინის სახელობის
პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური საბჭოს
ყოველთვიური
საბავშვო ჟურნალი

BE READY TO LOVE!

გამოდის 1926 წლიდან

ჭიანჭარა

11 ნოემბერი 1977

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

სამყაროს თვალზე
იმედის და ნუგეშის ცრემლი...
აი, რა არის 1917 წელი!

აღფრთოვანება,
აღტაცება,
აყიოტაჟი...
ხალხთა თვალები —
რუსეთისკენ სხვაგვარი ცქერით...
გამოღვიძება,
წამოდგომა,
მჭუხარე ტაში...
დედამიწაზე
დასაწყისი ბორკილთა მსხვრევის...
აი, რა არის 1917 წელი!

დაიმედება
კაცისა და დედაბუნების...
დაფდაფების და ორკესტრების
გრიალი მწველი...
სინათლისაკენ
დედამიწის შემობრუნება...
მომავალ დღეთა
ქომაგი და
ერთგული მცველი...
აი,რა არის, მეგობრებო,
აი, რა არის,
აი, რა არის 1917 წელი!

რევოლუციის ჯარისკაცები

გამოიარეს ქარი და ცეცხლი...
(ადვილად იტყვი:
გ ა მ ო ი ა რ ე ს!)
ჯარისკაცური ფარაჯა ეცვათ,
და არ იმჩნევდნენ იარებს.

გადაიტანეს ჭირი, რა ძნელი...
(ადვილად იტყვი:
გ ა დ ა ი ტ ა ნ ე ს!)
და ტიტანური ძალით სავსენი
მთელი არსებით ჰგავდნენ
ტიტანებს.
არ გატეხილან ბევრის მნახველნი...
(ადვილად იტყვი:
არ გ ა ტ ე ხ ი ლ ა ნ!)
დღესაც მჭუხარებს მათი სახელი
სიმფონიებად და ქარტეხილად.
დიდი ლენინი —
თვითონ ბელადი —
მათ უწოდებდა ხალხის ბელადებს.
არ ჰქონდათ გზები ფერად-ფერადი

კ. მარქს ს ს ჩ. საქ. სსრ
სახ. ბიბლიოთეკა
გბ ლ ი ბ ლ ი ო ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

და წყვდიადშიაც დროშად
ელავდნენ.
მათი გულის ხმა და მათი სუნთქვა
ახლა,
ამ წუთას უნდა გესმოდეს.
სწორუპოვარი სიმაღლე სულთა
ვერ დააოკეს, თუმცა ესროდნენ.

რამდენჯერ იდგნენ სიკვდილის
პირთან,
იდგნენ ამაყად, ღირსებით,
მტკიცედ...

სტალინი გინდა,
ძერჟინსკი გინდა,
კიროვი ანდა ორჯონიკიძე...
დღესაც აშუქებს
ნათელი გმირთა,
მაგალითია მათი ცხოვრება,
მოვარდნილები სიცოცხლის
ზვირთად —
გვეიმედება, გვემახსოვრება.

ქართველი გინდა...
სომეხი გინდა...
რუსი გინდა თუ უკრაინელი...
ყველა თავ-თავის ადგილზე იდგა
და ყველა იყო მუდამ პირველი.

ალესილ ხმლების, დაგესლილ
ხმების,
სამოქალაქო ცეცხლის გამძლენი...
აი, ვინ იყვნენ,
აი, ვინ იყვნენ
რევოლუციის ჯარისკაცები.

აღმშენებლები ახალ ცხოვრების,
ახალ გზების და ახალ ტაძრების...
აი,ვინ იყვნენ,
აი, ვინ იყვნენ
რევოლუციის ჯარისკაცები.
ჩამქრობნი შუღლის ყოველი კერის,
უამინდობის, ომის ხანძრების...
აი, ვინ იყვნენ,
აი, ვინ იყვნენ
რევოლუციის ჯარისკაცები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე მგონია, დღეის სიმღერებს
წინანდებურად აიტაცებენ
სმენაზე მდგარი —
ფარაჯიანი —
რევოლუციის ჯარისკაცები.

გარდასული სურათები

უფრო მეტი დაფიქრებით,
უფრო მეტი ყურადღებით —
იამაყე, ისულდგმულე
გარდასული სურათებით.
დაუკვირდი, განა მარტო
ტაშ-ფანდურის ხმები ისმის...
გზას გახედავ — ეკლებია,
ცას ახედავ — სქელი ნისლი.

ამ სურათის დავიწყებას
მომავალი არ იკადრებს:
შენი კბილა,
შენი ტოლი
ცეცხლად ულის ბარიკადებს.
თითო „ვაშას“ შეძახება
გამარჯვებად ესახება
და საკუთარ პერანგს უხევს
დაჭრილს მკერდის შესახვევად.
სურს, მომსკდარი იერიში
თავის მკერდით გადარაზოს.
აღარც ყინვა, აღარც შიში,
არც შიმშილი აღარ ახსოვს.
მასზე ლექსებს ვერვინ დაწერს,
სურათს ვერვინ გადაუღებს.
უსახელო თითისხელას
უკვდავება კარებს უღებს.
უცოდველი თეთრი მკერდი
ბასრი ხმლისგან იფლითება...
და —
შენი კბილა,
შენი ტოლი
თვალხატულა ბიჭი კვდება.

ეს ვინაა?... ცეროდენა
ცამდე იწევს წითელ დროშით...
შენი კბილა,
შენი ტოლი
ფეხშიშველა გარბის თოვლში.
რისი ყინვა? რისი თოში?
ტყვიის წვიმაც ვერ აჩერებს.
მალე ლურჯას მოახტება
და თეთრებში შეაჭენებს.
დაზაფრული მრისხანება
ბაგეებზე დაღად აზის.
იმედი აქვს სავსე გულის,
რწმენისა და დიდი აზრის.
ვინ აჩუქა ეს სიმკვირცხლე
ანდა ძალა გოლიათის...
უცებ ერთი — ას ტყვიაში
და... მკერდიდან ბოლი ასდის.
მიწა, დარდით ანათრთოლი,
სისხლისფერი მზით წითლდება...
და —
შენი კბილა,
შენი ტოლი
თვალხატულა ბიჭი კვდება.

მუშტისხელა არც კია და,
რა ძალა აქვს, შეხე, ამ გულს:
შენი კბილა,
შენი ტოლი
აგურებზე აწყობს აგურს.
ფეხშიშველა, ხელშიშველა
არ გაურბის ქარს და შიმშილს.
თვალთა მისთა შემხედვარე
ლაჩარივით გარბის შიშიც.
მიწას თხრის და გზები გაჰყავს,
ძველი ყოფის ფესვი ზრება.
უკაცრიელ უდაბნოში
ლურჯი ზღვები ესიზმრება.
სწამს და სჯერა, რასაც ფიქრობს,
ხვალ თუ არა, მალე ნახავს.
ქოხმახების შემხედვარე
სასახლეებს ხატავს ახლა...
კულაკი კი ასე ფიქრობს:
— ეს ოცნება ვის სჭირდება?..
და —
შენი კბილა,
შენი ტოლი
თვალხატულა ბიჭი კვდება.

აიზილა ცა და მიწა,
აიზილა სისხლში სისხლი...
შენი კბილა,
შენი ტოლი
ავსებულა სხვაგვარ რისხვით.
ხდება პოლკის შვილობილი,
პარტიზანი, მეომარი.
სხვებზე მეტი წვიმა აწვიმს
და უბერავს მეტი ქარი.
არ ელევა მუხლში ძალა,
გულში — ცეცხლი არნახული.
ტყეში წევს და... იანვარში
ესიზმრება გაზაფხული.
დღისით იბრძვის, ღამით იბრძვის,
ცეცხლში ნაღმებს ეხეთქება
და სამშობლოს მომავლისთვის
ყველაფერი ემეტება.
ერთი ტყვია ჩაიხუტა,
ფეხზე მაინც რისხვით დგება...
და —
შენი კბილა,
შენი ტოლი
თვალხატულა ბიჭი კვდება.

იყავ უფრო დაფიქრებით,
იყავ უფრო ყურადღებით...
იამაყე, ისულდგმულე
გარდასული სურათებით.
ის, რაც მოხდა — დღეისათვის!
ის, რაც არის — ხვალისათვის!
ნუ შეარცხვენ მამის ულვაშს,
ნუ შეარცხვენ დედის მანდილს.
სიყვარული მამულისა
განა ცელით იცელება?
დღევანდელი ისტორია
ამ წუთებში იწერება.
უფრო მარჯვედ, უფრო ფხიზლად,
უფრო მეტი ყურადღებით!
იამაყე, ისულდგმულე
გარდასული სურათებით.

ეპილოგი

რატომ გაფრინე წარსულში
გაუმართავი ფრთითა?
ხომ ვიცი, გიყვარს მამული, —
უფრო გიყვარდეს მინდა.
რატომ გითხარი ლექსები
აღელვებული ხმითა?
ხომ ვიცი, გიყვარს სიმღერა, —
უფრო გიყვარდეს მინდა.
თუ გინდა თვითონ აიღო
მამა-პაპათა ხმალი,
თუ გინდა გადაიხადო
გადაუხდელი ვალი, —
მათი ფარაჯა ჩაიცვი,
მათი სიმღერა გესმას.
დრო მოვა, თვითონ იქცევი
საქმედ, მახვილად, ლექსად.
ჭირშიც და ლხინშიც, გახსოვდეს,
მუდამ იყავი ფხიზლად,
თვალს თუ მილულავ — მამული
ჩაგყვეს ფიქრად თუ სიზმრად.
დღეს შენი არსებობითაც
მის არსებობას შვენი.
გასულდგმულებდეს სიმართლე —
ავლა-დიდება შენი...
იქნები უფრო მადალი,
უფრო ლაღი და წმინდა;
ხომ ვიცი, გიყვარს სიცოცხლე —
უფრო გიყვარდეს მინდა!

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს

დეკლარაცია

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მიღებისა და გამოცხადების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო, რომელიც მოქმედებს საბჭოთა ხალხის სახელით და გამოხატავს მის სუვერენულ ნებას, იღებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციას (ძირითად კანონს) და აცხადებს, რომ იგი ძალაში შედის 1977 წლის 7 ოქტომბრიდან.

მოსკოვი, კრემლი. 1977 წლის 7 ოქტომბერი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

დიდი ისტორიული დოკუმენტი

პ. კოხრეიძე საუბარი მეოთხე*

ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული პრაქტიკის შესაბამისია და ეს ახალ კონსტიტუციაშიც დაკანონდა — სახელმწიფო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი საკითხების გამოტანა საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის, მათი გადაცემა საყოველთაო-სახალხო კენჭისყრისათვის (რეფერენდუმისათვის), მშრომელთა აზრის გაგება და საქმეების გადაწყვეტის დროს გათვალისწინება. ასე იყო მიღებული სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციაც. საყოველთაო-სახალხო განხილვის შედეგები, წამოყენებული წინადადებები, შენიშვნები, მოსაზრებები აისახა ცალკეულ კარებში, თავებში, მუხლებში, რომლებიც ამის გამო კიდევ უფრო დაიხვეწა, დაზუსტდა და შინაარსობრივად გამდიდრდა. ეს სახელმწიფოს მართვაში მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობის შესანიშნავი გამოხატულებაა.

ხალხის გამგებლობის ფორმები ჩვენს ქვეყანაში მრავალფეროვანია და სულ უფრო პოპულარული ხდება. მათგან აღსანიშნავია კრებები სამუშაო თუ საცხოვრებელი ადგილების მიხედვით, ყრილობები, შეკრებები, თათბირები და ა. შ. აქ შეიძლება არსებითი საკითხების წამოჭრა, განხილვა და სახელმწიფო ორგანოების წინაშე დაყენება, საქმეში სხვადასხვა ინსტანციის ჩარევის მოთხოვნა და ამ გზით მშრომელთა სურვილების და წინადადებათა დაკმაყოფილების უზრუნველყოფა.

ახალ კონსტიტუციაში ზუსტად არის განსაზღვრული სახალხო დეპუტატთა საბჭოების სისტემა, მათი საქმიანობის პრინციპები, უფლებამოსილება, განსახილველი საკითხების წრე, მუშაობის ფორმები და მეთოდები. სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა უმაღლეს საბჭოებს ირჩევენ ხუთი წლის, ხოლო სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, ავტონომიური ოლქების, ოკრუგების, საქალაქო, რაიონულ, სადაბო და სასოფლო საბჭოებს — ორნახევარი წლის ვადით. საბჭოები ქმნიან აღმასრულებელ და განმკარგულებელ მათ წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოებს, მუდმივ კომისიებს, სახალხო კონტროლის ორგანოებს, ხელმძღვანელობენ სახელმწიფო. სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის დარგებს, იღებენ გადაწყვეტილებებს, უზრუნველყოფენ და აკონტროლებენ მათ შესრულებას.

„სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობას, — ნათქვამია 94-ე მუხლში, — საფუძვლად უდევს საკითხების კოლექტიური, თავისუფალი, საქმიანი განხილვა და გადაწყვეტა, საჯაროობა, აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების, საბჭოების მიერ შექმნილი სხვა ორგანოების რეგულარული ანგარიშგება საბჭოებისა და მოსახლეობის წინაშე, მოქალაქეთა ფართო ჩაბმა მათს მუშაობაში“. უმნიშვნელოვანესი საკითხები განიხილება და წყდება სესიებზე, რომლებსაც რეგულარულად იწვევენ. სესიები დეპუტატთა აქტივობით მიმდინარეობს და მათსავე სულისკვეთებას გამოხატავს. საბჭოები ხელმძღვანელობენ თავიანთ ტერიტორიაზე სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობას, მათდამი დაქვემდებარებული ორგანოების, საწარმოების,

* დასასრული. იხ. „პიონერი“ № 8, 9, 10.

ვეხნობით კონსტიტუციას

დაწესებულებების, ორგანიზაციების მუშაობას, თვალყურს ადევნებენ თავიანთ ტერიტორიაზე განლაგებული ობიექტების მიერ კანონთა დაცვას; კოორდინაციასა და კონტროლს უწევენ მათს საქმიანობას მიწათსარგებლობის, ბუნების დაცვის, მშენებლობის, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში, შეუძლიათ ყველა არსებითი საკითხით დაინტერესება, მათი შესწავლა, განხილვა და მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გადამჭრელი ზომების მიღება.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების მუშაობაში წამყვან როლს ასრულებენ დეპუტატები — მშრომელთა სრულუფლებიანი წარმომადგენლები. ისინი აქტიურად მონაწილეობენ მთელ საქმიანობაში, წყვეტენ სახელმწიფო, სამეურნეო, სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხებს, უზრუნველყოფენ გადაწყვეტილებათა განხორციელებას, კონტროლს უწევენ სახელმწიფო ორგანოების, საწარმო-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაობას, ყველაფერში ხელმძღვანელობენ საერთო-სახელმწიფო ინტერესებით, ითვალისწინებენ მოსახლეობის მოთხოვნილებებს, იბრძვიან ამომრჩეველთა განაწესის შესასრულებლად. დეპუტატს შეუძლია თავისი საქმიანობის საკითხებზე მიმართოს სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებს, საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას, მონაწილეობდეს აღძრული საკითხების გადაწყვეტაში, შექმნილი აქვს თავის უფლება-მოვალეობათა დაუბრკოლებელი და ეფექტიანი განხორციელების პირობები, ვალდებულია საკუთარი და საბჭოს მუშაობის საკითხებზე ანგარიში ჩააბაროს ამომრჩევლებს, იყოს მათი განაწესის ერთგული შემსრულებელი.

სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-13 თავში განხილულია საბჭოთა საარჩევნო სისტემა და დახასიათებულია მისი თავისებურებები. სახალხო დეპუტატთა ყველა საბჭოს არჩევა ხდება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. საყოველთაობა ნიშნავს, რომ არჩევნებში მონაწილეობს ყველა მოქალაქე 18 წლის ასაკიდან (შშლილთა გარდა). თანასწორობა: თითოეულს მხოლოდ ერთი ხმა აქვს. პირდაპირობა: დეპუტატებს მოქალაქეები უშუალოდ ირჩევენ, ხოლო ყოველივე ეს ხდება ფარული კენჭისყრით, არავის არ შეუძლია ამომრჩეველთა ნება-სურვილის გამოვლინებისადმი კონტროლის დაწესება.

ვის აქვს კანდიდატთა დასახელების უფლება? პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და შრომით კოლექტივებს. გარანტირებულია კანდიდატთა პოლიტიკური, საქმიანი და პირადი თვისებების ყოველმხრივი განხილვა, კრებებზე, პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი აგიტაციის უფლება. საარჩევნო კომისიები იქმნება საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების წარმომადგენლებისაგან. არჩევნები ჩვეულებრივად ეწყობა დასვენების დღეს და ამით უზრუნველყოფილია მათში ყველა ამომრჩევლის მონაწილეობის შესაძლებლობა. დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით, არჩევნები ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს დიდი სახალხო დღესასწაულის ვითარებაში და გადაქცეულია პარტიისადმი, მთავრობისადმი ხალხის ერთგულების დემონსტრაციად.

უკანასკნელი არჩევნების მიხედვით, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში არჩეულია 1.517 დეპუტატი, მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლეს საბჭოებში — 6.104, ადგილობრივ საბჭოებში — 2.210.932 დეპუტატი. აქედან ჩვენს რესპუბლიკაში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 400 დეპუტატია, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების 230, ხოლო ადგილობრივი საბჭოების 49.372 დეპუტატი — 25.409 მამაკაცი და 23.963 ქალი. მათ შორის ბევრია ახალგაზრდა, კომკავშირელი, სტუდენტი, საზოგადოების ყველა ფენისა და სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი.

ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოებია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა და უფლებამოსილია სსრ კავშირის გამგებლობის ყველა საკითხის გადაწყვეტაში — მას შეუძლია მიიღოს კონსტიტუცია, შეიტანოს მასში ცვლილებები, სსრ კავშირში შეიყვანოს ახალი მოკავშირე რესპუბლიკები, დაამტკიცოს ახალი ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების შექმნა, სახალხო მეურნეობის განვითარებისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმები, სახელმწიფო ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშები, გამოსცეს კანონები და ა. შ. იგი შედგება ორი პალატისაგან — კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოსაგან, რომლებშიც დეპუტატთა თანაბარი რაოდენობაა და რომლებსაც უფლებებიც თანაბარი აქვთ. უმაღლესი საბჭოს სესიას იწვევენ წელიწადში ორჯერ. პალატების გაერთიანებულ სხდომაზე ირჩევენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს — თავმჯდომარეს, თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, 15 მოადგილეს (თითო-თითო ყოველი მოკავშირე რესპუბლიკისაგან), პრეზიდიუმის მდივანს და 21 წევრს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეა ლ. ი. ბრეჟნევი, ხოლო პრეზიდიუმის მდივანი — მ. პ. გიორგაძე.

უაღრესად ფართო და მრავალფეროვანია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ფუნქციები — მოიწვიოს უმაღლესი საბჭოს სესიები, კოორდინაცია გაუწიოს პალატათა მუდმივი კომისიების მუშაობას, გააკონტროლოს კონსტიტუციის დაცვა, განმარტოს კანონები, მოახდინოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიკაცია და დენონსაცია, დააწესოს სამხედრო წოდებები, დიპლომატიური რანგები და სხვა ოფიციალური წოდებები და მიანიჭოს ისინი; ორდენებითა და მედლებით დააჯილდოოს ადამიანები, გამოსცეს ამნისტიის აქტები, დანიშნოს ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები უცხოეთის სახელმწიფოებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, შექმნას სსრ კავშირის თავდაცვის საბჭო და დაამტკიცოს მისი შემადგენლობა, საჭიროების დროს შეცვალოს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლესი სარდლობა, გამოაცხადოს საერთო ან ნაწილობრივი მობილიზაცია, სსრ კავშირზე თავდასხმის შემთხვევაში — ომის მდგომარეობა, გამოსცეს ბრძანებულებები, მიიღოს დადგენილებები და ა. შ.

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო კონტროლს უწევს მის წინაშე ანგარიშვალდებულ ყველა სახელმწიფო ორგანოს საქმიანობას“, — აღნიშნულია 126-ე მუხლში. ეს მისი დიდი უფლებამოსილების დადასტურებაა.

ვეცნობით კონსტიტუციას

ჩვენი კონსტიტუცია — განვითარებული სოციალიზმის ქარტიაა

ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო — სსრ კავშირის მთავრობა. იგი იქმნება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების გაერთიანებულ სხდომაზე შემდეგი შემადგენლობით: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილეები, მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები. მასში თანამდებობის მიხედვით შედიან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეები. მინისტრთა საბჭო პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს, ხოლო უმაღლესი საბჭოს სესიებს შორის — უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე, წყვეტს სახელმწიფო მმართველობის ყველა საკითხს, რომელიც სსრ კავშირის გამგებლობაშია და არ შედის უმაღლესი საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის კომპეტენციაში. იგი დიდ სამუშაოს ასრულებს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის, სოციალურ-კულტურული მშენებლობის, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების მართვის ხელმძღვანელობაში; სახელმწიფო ინტერესების დასაცავად, მოქალაქეთა უფლებების უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო უშიშროების, შეიარაღებული ძალების განსამტკიცებლად, სსრ კავშირის სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების მუშაობის წარსამართავად და სხვა დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა განსახორციელებლად.

ახალი კონსტიტუციის მე-6 კარში განსაზღვრულია მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოთა აგებულების საფუძვლები, ჩამოთვლილია მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ოკრუგების, ქალაქების, რაიონების, დაბების, სოფლების ადგილობრივი სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოთა უფლება-მოვალეობები, დადგენილია მათი უფლებამოსილება, განსაზღვრულია თითოეულის კომპეტენციაში შემავალი საკითხები და მათი გადაწყვეტის ჩარჩოები, აღიარებულია ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო სუვერენიტეტის შეხამება ეროვნულ სუვერენიტეტთან.

სულ სსრ კავშირში 15 მოკავშირე რესპუბლიკა, 20 ავტონომიური რესპუბლიკა, 8 ავტონომიური ოლქია. ისინი ერთა თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე არიან შექმნილი და შედიან, როგორც მთლიანად სსრ კავშირის, ისე ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკების შემადგენლობაში. ეს როდია მათი ხელოვნური გაერთიანება, ეროვნულ თავისებურებათა რამე სახის უგულებელყოფა ან ნიველირება, პირიქით, ამ პირობებში ყოველმხრივ დაცულია მათი ეროვნული ინტერესები და სუვერენული უფლებები. ამ გზით მტკიცე ნიადაგზე დგას სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, შემდგომი დაახლოება, ურთიერთგამდიდრება და ინტერნაციონალური სულისკვეთების გაძლიერება.

„მოკავშირე რესპუბლიკათა სუვერენულ უფლებებს იცავს სსრ კავშირი“, — ნათქვამია 87-ე მუხლში და ამით გამოხატულია მისი დიდი მოვალეობა — პატივი სცეს ყველა მოკავშირე რესპუბლიკის საერთო ინტერესებს, საკითხების გადაწყვეტის დროს ანგარიში გაუწიოს მათს სპეციფიკას, არ დაუშვას რამე დამახინჯება და ამა თუ იმ ხალხის მისწრაფებათა შელახვა. ამ მხრივ ყველაზე საგულისხმოა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭო, მისი ფუნქციები და მოვალეობა. ყველა ერს მშობლიურ ენაზე აქვს შექმნილი სასწავლებლები, ხელისუფლების ორგანოები — ადმინისტრაციული დაწესებულებები, მთელი მმართველობის სისტემა: ცხოვრების ავტონომიურ საწყისებზე მოწყობა მტკიცეა საფუძველს უქმნის მასს ყოველმხრივ განვითარებას, სამეურნეო-კულტურულ საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას, ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური და სულისკვეთებით ინტერნაციონალური კულტურის აყვავებას. საბჭოთა სახელმწიფოებრივი წყობილება შესანიშნავად ახორციელებს სხვადასხვა ხალხის ცხოვრებისა და მუშაობის, სოციალურ-ეკონომიკურ გარდაქმნათა ერთიანი მიზნით წარმართვის ხელმძღვანელობას და ამით მკაფიოდ ავლენს თავის დიდ სიცოცხლისუნარიანობას.

სსრ კავშირის კონსტიტუციის საყოველთაო-სახალხო განხილვამ ჩაიარა მშრომელთა უფართოესი მასების უჩვეულო პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში და გვიჩვენა მათი მხურვალე დაინტერესება სსრ კავშირის სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხებისადმი, ქვეყნისა და ხალხის ბედისადმი. ჩვენი ცხოვრების ეს ძირითადი კანონი ფართო მასშტაბის პოლიტიკურ-ეკონომიკურ წარმატებათა საიმედო საფუძველია, ნათელ წარმოდგენას იძლევა სოციალისტური საზოგადოების ჰუმანურ მიზნებსა და მისწრაფებებზე, მთელი სისრულით ადასტურებს ადამიანთა ბედნიერების მიღწევის მზარდ ორგანიზატორულ შესაძლებლობას. მისი მიღება დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია საბჭოთა ქვეყნის პოლიტიკურ ისტორიაში, ჩვენი პარტიის, ჩვენი ხალხის ღირსსახსოვარი წვლილია კომუნიზმის მშენებლობაში, კაცობრიობის პროგრესისა და მსოფლიო მშვიდობის უზრუნველყოფაში.

ოქტომბერს

ჩვენო სამშობლო

სამშობლოვ, ჩვენო სამშობლოვ,
გულს ია-ვარდი გფენია,
შევარდენთა და არწივთა
გუნდები აგიფრენია.
მას ვუმადლოდეთ, ვადიდოთ,
ვინც გაგვითენა დარია,
ხალხის სიკეთის გულისთვის,
ვინც შეძრა მთა და ბარია.
— ეს არის ბრძენი ლენინი,
ჩვენი სიკეთის მდომელი,
ჩვენი მზე, ჩვენი შუქურა,
სინათლე ჩაუქრობელი.

საჩოგბურო

ოქტომბერმა გაგვითენა
სიხარულის დილა,
ჩვენი ქვეყნის ცის ლაჟვარდი
ოქროდ ჩამოთლილა.
სოფლები და ქალაქები
სულ მთლად გამოცვლილა,
მალე კარზე მოგვადგება
კომუნიზმის დილა.

მთქმელი გ. რუხიაშვილი,
თიანეთი, სოფ. საყდრიონი.

ჩემო ფანდურო

ფანდურო, ჩემო ფანდურო,
გათლილო ვერხვის ტოტისა,
და ზედ ასხმულო ძალებო,
ნაკეთებ ნაწლავ ბოტისა.
თელავს ჩუქურთმით ნაკეთო,
ქვებით ნაჭედო ალვანსა,
ზედ სურათამოქარგულო
მზისადარ ქალაშავასა.
ხელიდან ხელში სავალო,
გამქარვებელო დარდისა,
მუდამჟამს უბით სატარო,
როგორც ფურცელი ვარდისა.
ამიხმიანდი, ფანდურო,
ადიდე კრემლის კედელი,
ადიდე დიდი ბელადი,
თავისუფლების მჭედელი.

მთქმელი ი. ჯიმშიტაშვილი,
თიანეთი, სოფ. ჩაბანო.

ამას ამბობდა

ლენინი მუდამ გვახარებს,
როგორც მზე ამომავალი.
ბევრი ვიბრძოლეთ, ვიშრომეთ,
კვლავ საქმე გველის მრავალი.
არ მოვადუნოთ მარჯვენა,
აი, რა არის მთავარი!
მოყვარე ყველგან ვახაროთ
და შევარცხვინოთ მტარვალი,
ბაღნარად უნდა ვაქციოთ
ყველა ხევი და ტრამალი.
ყოველდღიურად ვამოკლოთ
გზა დიდ მანძილზე სავალი.
ამას გვასწავლის ლენინი,
ჩვენი მზე ამომავალი.

მთქმელი ნ. ჰიტაძე,
საჩხერე, სოფ. ჭალა.

ყაზბეგის რაიონი

სინათლე მოსავს ყაზბეგსა,
განათდა ბერი მყინვარი,
და მას მქუხარედ შესძახის
თერგი ამაყად მდინარი.
ზეიმობს მთელი ხეობა,
აქამდის ყუჩი, მძინარი,
მეც იმას ვეხმაურები,
ოქტომბრის შუქით მბრწყინავი.

მთქმელი გ. არაბული,
ყაზბეგი, სოფ. ჯუთა.

ბედნიერი დღე

ბედნიერი დღეა, ძმებო,
შვიდი ნოემბერი,
ოქროს ძაფით ამოქარგა
ნამგალი და კვერი,
მშრომელებმა გაიმარჯვეს,
დასამარდა მტერი.

მთქმელი დ. გარსევანიძე,
ახმეტა, სოფ. ზემო ალვანი.

გაგარინს

ცაში გაჭრილო ვაჟკაცო,
შეუდრეკელო გაგარინ,
ბორბალოს მთიდან გიყურებ,
გიმღერი ფეხზე დამდგარი.
გიყურებს მთელი ქვეყანა,
ბავშვიც არ დგება სახლშია,
დიდი ლენინიც გიყურებს,
უნდა დაგიკრას ტაშია.
რომ არ გყოლოდა ლენინი,
ვერც შენ იფრენდი ცაშია.

მთქმელი ვ. ჩოხელი,
თიანეთი, სოფ. ჩაბანო.

იხარეთ

იხარეთ, შატილიონნო,
იყავით ხალისიანი,
ოქტომბრის რევოლუციამ
დღე გაგითენათ მზიანი.
თქვენს მაღალ მთებშიც მოვიდა
ცხოვრება ლაზათიანი;
ქვაც აღარ დაგეკარგებათ,
ნასხლეტი მაღალ კლდისანი,
აგიყვავილდათ ოცნება,
აგიყვავილდათ მიზანი:
კარზე მოგადგათ სწორი გზა,
როგორც ნასროლი ისარი.

დიდვა ლენინვა

ბელადმა, დიდმა ლენინმა,
პირი გასინჯა ხმლისა,
მჩაგვრელებს შემოუთვალა:
— რისხვა გატყდებათ ღვთისა.
გაიყოლია მშრომელნი,
ვეშაპი დასცა ძირსა,
მტერს მისცა შავი სამარე,
ჩვენ შუქი მოგვცა მზისა.

მთქმელი ნ. გიგაური,
თიანეთი, სოფ. ვერხველი.

სანლო ჯიჭი

ნესტან
კვეიძე

მხატვარი
ზ. ფოლრჩხიძე.

მოთხრობა

ალმასხან ბიძიას ჩვენს უბანში ყველა იცნობდა. მას ერთი პატარა სასაუზმე ეჭირა. მთელი დღე არ ეცალა და გარეთ არც გამოდიოდა.

სამაგიეროდ, მასთან შედიოდნენ სტუმრები.

ცხოვრება თანდათან უფრო მძიმე ხდებოდა.

პოლიცია გასაქანს არ აძლევდა ხალხს.

გახშირდა დაჭერები.

მაინც გამოდიოდნენ პროტესტით მუშები.

გამარჯვება მაინც სწამდა ხალხს და არალეგალური წრეები იზრდებოდა, მუშაობა უფრო ძლიერდებოდა.

— გაფიცულები დაუჭერიათ!

— ნაწილს ასახლებენ! — ესმოდა ალმასხანს სასაუზმეში შემოსულთა ხმები, ზოგი ხმამაღლა, დაუფარავად ყვებოდა ქვეყნის ამბავს, ზოგი კიდევ — მალულად საუბრობდა; ჩურჩულებდნენ ფარულ წრეებზეც.

ალმასხანი ყველაფერს ისმენდა, მაგრამ საუბარში არასოდეს ერეოდა.

საღამოობით, გვიანობამდე ისმენდა ალმასხანი არალეგალური წრის ხელმძღვანელის სიტყვებს. ეცნობოდა გეგმებს. მერე ხელმძღვანელი დავალებებს აძლევდა ყველას და ისინიც იშლებოდნენ.

— ხვალ დილით პროკლამაციებს გამოგიგზავნით. მომტანი „ცარიელ ბოთლებს“ გიჩვენებს. ცოტა ხნის შემდეგ შენთან მოვა ამხანაგი ქარხნიდან და იმას გადასცემ. ფრთხილად იყავი! — უთხრეს ალმასხანს.

მეორე დილით სხვა დროზე ადრე გააღო სასაუზმის კარი.

დახლთან დაჯდა, დავთარი გადაშალა და ანგარიშს თვალი გადაავლო.

ფეხის ხმამ გამოარკვია.

მის წინ ორი პოლიციელი იდგა.

ალმასხანს გული აუძგერდა, მაგრამ მაინც გაღიმებული სახე მიაგება მათ, მიესალმა და გვერდით მაგიდასთან სკამები შესთავაზა.

„ნუთუ ვინმემ გაგვცა?“ — გაიფიქრა ალმასხანმა, თან მაგიდას სუფთა ტილო გადაუსვა და სუფრის გაშლა დაიწყო.

სასაუზმეში პატარა ბიჭი შემოვიდა. თერთმეტ-თორმეტი წლისა იქნებოდა. ალაგ-ალაგ გაცვეთილი ხალათი მუხლებს უფარავდა. ხელში კალათა ეჭირა.

პოლიციელებს თვალი მოჰკრა თუ არა, უკან გაბრუნება დააპირა, მაგრამ ამ დროს ერთმა პოლიციელმა დაუყვირა:

— რას დაეხეტები ამ უთენია?

— მე ცარიელი ბოთლები მოვიტანე, ბიძია! — მიუგო ბიჭმა და ალმასხანს ახედა.

ალმასხანს მუხლები მოეკვეთა.

„ნუთუ ამას ანდვეს? ალბათ პოლიციელებმა ყველაფერი იციან და ემიტომაც მეწვივნენ დილაადრიან“.

— ბიძია! — შეეხვეწა ბიჭი ალმასხანს, — აიღე ბოთლები, ძალიან მიჭირს, ფული მჭირდება!

„იქნებ მართლა ბოთლების გაყიდვა უნდა“, — გაიფიქრა ალმასხანმა და შვებით ამოისუნთქა.

ბიჭმა ბოთლები ნელ-ნელა ამოალაგა კალათიდან, კუთხეში მიაწყო. ალმასხანმა ფული რომ მისცა, ბიჭი არ წავიდა, თავის კალათთან იატაკზე ჩაჯდა.

— ფული ხომ მოგცა, წაეთრიე, ძაღლის ლეკვო! — უთხრა პოლიციელმა და ჭამა განაგრძო.

— მშია ძალიან!—ამოიკვნესა ბიჭმა.

ალმასხანმა თეფშით საჭმელი გაუწოდა და თავის ადგილს დაუბრუნდა.

„რატომ დააგვიანეს პროკლამაციების გამოგზავნა? ხომ არაფერი შეემთხვათ?“ — ფიქრობდა ალმასხანი და ნერვიულობის დასაფარავად ხან საანგარიშოს გამოჭრავდა თითს, ვითომ ანგარიშობდა, ხანაც გადაშლილ დავთარში უაზროდ ციფრებს წერდა. ხანდახან პოლიციელებსაც გახედავდა სათვალის ზემოდან და ბიჭისკენ გაიხედავდა.

პოლიციელებმა საუზმე დაამთავრეს და წავიდნენ.

ალმასხანს ახლა ამ ბიჭის მოშორებაც სურდა, რადგან პროკლამაციებს რომ მოიტანდნენ, ბავშვი მოწმედ სულაც არ სჭირდებოდა.

— თუ გინდა, საჭმელს სახლში გაგატან! — უთხრა ბიჭს ალმასხანმა, რომ იგი როგორმე გარეთ გაეტყუებინა.

ბიჭი ადგა, თეფში მაგიდაზე დადო. კერძი ხელუხლებელი იყო. ჯიბიდან ალმასხანის მოცემული ფული ამოიღო და იქვე, თეფშის გვერდით დააწყო. მერე კარისკენ გაიქცა, იქაურობა მოათვალიერა, ალმასხანს წინ დაუდგა და ხმადაბლა უთხრა:

— ჩაიბარე!

მერე ხალათი აიწია და პროკლამაციების მთელი დასტა ამოაძვრინა, რომელსაც შარვლის ფართო ქამარი ამაგრებდა.

ალმასხანმა ბავშვი გულში ჩაიკრა და დაუწყო კოცნა შუბლზე, თმაზე, სახეზე. ბიჭი გრძნობდა, როგორ უსველებდა სახეს ალმასხანის ცრემლები...

ბავშვობიდან ჰელვეტის ფილოსოფოსებამდე

ცევის ელექტროსადგური, კამჩატკის ნახევარკუნძულზე მუშაობს ვულკანის ორთქლზე მომუშავე საცდელი გეოთერმული ელექტროსადგური. ენერგიის სახეობათა შორის ყველაზე იაფი და თითქმის ამოუწურავია ზღვა-ოკეანეთა მიმოქცევა და გეოთერმული ენერგია. ფაქტობრივად ენერგიის ეს ორი სახეობა არის „პერპეტუუმ-მობილე“ („მუდმივი ძრავა“). მართალია, ბუნებაში მუდმივი ძრავა არ არსებობს, მაგრამ მიმოქცევა და გეოთერმული ენერგია განა მუდმივი ენერგია არ არის?

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში ვ. ი. ლენინის ინიციატივითა და მონაწილეობით შემუშავდა რუსეთის ელექტრიფიკაციის გეგმა (გოელრო). ეს იყო ჩვენი ქვეყნის პირველი სახალხო-სამეურნეო გეგმა, რომელიც საფუძველს უყრიდა საბჭოთა ხელისუფლების ახალ მატერიალურ ბაზას. ფართოდ ცნობილია გოელროს გეგმის განხილვისას ვ. ი. ლენინის მიერ გამოთქმული კლასიკური ფორმულა: „კომუნიზმი — ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტრიფიკაცია“.

გოელროს გეგმის შედგენისა და მიღების შემდეგ მოსკოვში ჩამოვიდა და ვ. ი. ლენინს კრემლში ეწვია ცნობილი ინგლისელი მწერალი ჰერბერტ უელსი. ლენინმა მას გააცნო გოელროს გეგმა და უელსმა გრანდიოზულ და განუხორციელებელ გეგმად მიიჩნია იგი, ხოლო ვ. ი. ლენინს „კრემლის მეოცნებე“ უწოდა. ასევე ცნობილი ფაქტია, რომ ვ. ი. ლენინმა ინგლისელ სტუმარს უთხრა: „ჩამობრძანდით ათი წლის შემდეგ და დარწმუნდებით, რომ ჩვენ ამ გეგმას დროზე და გადაჭარბებით შევასრულებთ“. მართლაც ასე მოხდა.

რევოლუციამდელ რუსეთში ძირითადად სჭარბობდა თბოელექტროსადგურები, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა თავმოყრილი იყო სამრეწველო ცენტრებში — დონბასსა და ურალში, აგრეთვე პეტროგრადსა და ბაქოში.

მთელი რუსეთის ყველა სახეობის ელექტროსადგურის სიმძლავრე 1913 წლისათვის 1,1 მილიონ კილოვატს უდრიდა, გამომუშავება კი 2 მილიარდ კილოვატსაათს; სრულად არ იყო ელექტრიფიცირებული რკინიგზები, ხოლო გამომუშავებული ელექტროენერგია ხმარდებოდა მძიმე მრეწველობასა და ტრანსპორტს, სოფლის მეურნეობაში კი ელექტროენერგიას თითქმის არ იყენებდნენ.

დღეს საბჭოთა კავშირში თითქმის ყველა დიდი თუ საშუალო სიგრძის მდინარე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისათვის არის გამოყენებული. ჩვენს ქვეყანაში რამდენიმე ათეულ ათას მდინარესთან ერთად გვაქვს რამდენიმე „ელექტრული“ მდინარეც. ელექტრული მათ იმიტომ ეწოდებათ, რომ დიდი ვარდნა აქვთ, დიდძალ ჰიდროენერგორესურსებს შეიცავენ და, რაც მთავარია, საერთოდ არ იყინებიან. ამიტომ მათზე აშენებულია რამდენიმე მსხვილი ელექტროსადგური

მომავალში უდიდესი ყურადღება მიექცევა სახალხო მეურნეობაში ენერგიის ახალ სახეობათა — ქარის, მზის, ზღვის ენერგიის, თერმული წყლების და სხვათა გამოყენებას. მაგალითად, კოლის ნახევარკუნძულზე უკვე მუშაობს ზღვის მიმოქ-

საბჭოთა კავშირში გვაქვს სამი სახეობის ელექტროსადგურები: ჰიდროელექტროსადგურები, თბოელექტროსადგურები და ატომური ელექტროსადგურები. მსოფლიოში უდიდესი გრენდ-კოულის ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრე ორი მილიონი კილოვატია, მაშინ, როდესაც ვ. ი. ლენინის სახელობის ვოლჟსკის ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრე 2,3 მილიონ კილოვატს, ბრატსკისა — 4,5, კრასნოიარსკისა კი 5 მილიონ კილოვატს უდრის. საბჭოთა კავშირში გამომუშავებული მთელი ელექტროენერგიის 3/4 მოიხმარება მრეწველობაში, 6,6 — ტრანსპორტში, 5 პროცენტი — სოფლის მეურნეობაში და სხვ.

თუ ძველ რუსეთში და თვით გოელროს გეგმითაც მსხვილი ელექტროსადგურები ძირითადად რუსეთის ევროპულ ნაწილში იყო განლაგებული, ჩვენს ეპოქაში მსხვილი ელექტრო-

სადგურები უპირატესად შენდება საბჭოთა ქვეყნის აზიურ ნაწილში — ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთსა და შუა აზიაში. მათ შორის პირველ რიგში აღსანიშნავია გიგანტური ჰიდროელექტროსადგურები — კრასნოიარსკის, ბრაცკის, ნერჩინსკის, საიანისა და სხვ.

ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ატომური ელექტროსადგურების შშენებლობას. დღეისათვის მოქმედი ატომელექტროსადგურებიდან ნოვოვოროჟეჟის, ვორონეჟის, დუბნასა და სხვ.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მესამეცე წლისთავს უდიდესი მიღწევებით ხვდება ჩვენი ელექტროენერგეტიკაც. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამჟამად საბჭოთა კავშირის ყველა ელექტროსადგურის სიმძლავრე 230 მილიონ კილოვატს აღემატება, ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავება 1,1 ტრილიონ კილოვატსაათს აღწევს. ელექტროენერგიის გამომუშავებით ჩვენ მსოფლიოში პირველი ადგილზე ვართ ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად.

მიმდინარე ხუთწლეული ბოლოს ელექტროენერგიის გამომუშავება კიდევ უფრო გაიზრდება და 1.380 მილიარდ კილოვატსაათს მიაღწევს. 1985 წლისათვის კი ჩვენი ქვეყნის ყველა ელექტროსადგურის სიმძლავრე 370-380 მილიონ კილოვატამდე, ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავება 2.350—2.500 მილიარდ კილოვატსაათამდე გაიზრდება.

როგორც ვხედავთ, გაბართლდა ვ. ი. ლენინის გენიალური წინასწარმეტყველება. ჩვენი ქვეყნის მძლავრი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფილია ენერგიის უზნიშნეულოვანესი წყაროთი — ელექტროენერგიით, რომელმაც მყარი საფუძველი ჩაუყარა კომუნიზმის მშენებლობას.

ბრ. ზარდალიშვილი.



ნინო ალავიძე ალილუიანებით ფეხაკეტლ ფრაცელ ყოველ ჯიბაკეთ.

ეგრე საიმედოა ცვლა ვართ, კოჭკავშიკრ!

მიმდინარეობს საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდა თაობის გადაკაზილი „სწორება კომუნისტებზე!“

*

ლენინის სახელობის თბილისის სარკომუნგვარლინეა „ელექტროენერგეტიკის“ კომკავშირლეგიონის და ახალგაზრდობის მიმართულ 70-იანი წლებიანი ახალგაზრდობისადმი შენდ ბეჭდა, ეინენარ. გაეცანი მას რაზმის შეერთებაზე, შესაფერ კარალელური რაზმის კინონრაბა, აიღე ახალი ეიონგანული ვალდებულება, ბაიზიარ მოზონაბის გაგიფდილეგა, ეიაფ, არა მარტო შენ ისაკაეთ კარგად, არამედ შენს გვერდით არ იყოს არც ერთი ულინაცილენი, არც ერთი ჩაგონაჩენილი, ყოველი აინენარ კეთილნილნილიეგად სწავლეგდეს.

ამ საპიანლიგაში გაგალილთი აიღე კოშენინატგბისაკან, — შენნ ხომ ჯვეყნის მოგაკალი ბეაკეე, მოგაკალი კოშენინატი ხარ.

მაშ ისაინე დღეს მოფოდეა „სწორგბა კოშენინატებზე!“ ამ ნარკვევში კი ბაკიმიოთ თბილისის ულინსკის სახელობის № 1 რესპუბლიკური მუსპეციალურ-ლი საშუალო სკოლის კინონრაბებზე, რომლებიც ჩაბნინ გადაკაზილეი „სწორგბა კოშენინატებზე!“

ბაბაკაი ბაზზე

*

დიდი დასვენებაა, მაგრამ დერეფანში სიწყნარეეა, არ ისმის ჩვეულებრივი მხიარული ყიჟილ-ხივილი.

რაღაც ბნიშნეულოვანის მომლოდინე სიჩუმეში გაისმა სკოლის დიქტორის ნაცნობი ხმა:

„ყურადღება, ყურადღება!

ლაპარაკობს უნინსკის სახელობის № 1 რესპუბლიკური ეკსპერიმენტალური სამუალო სკოლის რადიოკვანძი.

ისმინეთ ყველამ! ისმინეთ ყველამ! რაზმეულის ყველა რაზმის საყურადღებოდ: დაიწყო საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდა თაობის გადაკახილი „სწორება კომუნისტებზე!“

ჩვენი პიონერული დევიზია: „მუდამ პარტიასთან, მუდამ ხალხთან ერთად!“ პიონერულ რაზმეულში ეწყობა საკავშირო შეკრება „მიდდიგართ ლენინის გზით, ოქტომბრის გზით!“ ამ შეკრებაზე შეჯამდება საკავშირო მარშის შედეგები, მოწინავე პიონერებს გადაეცემათ პიონერული შევრონები, გამარჯვებული რაზმებს კი — ალმები.

რაზმეულების საკავშირო შეკრებამ წინ უნდა უძღოდეს ოქტომბრის საიუბილეო

ფეტას გადასაცემს კომკავშირული დიდების წელიწადი. გაისად ხომ ჩვენი ქვეყანა ლენინური კომკავშირის მე-50 წლისთავს აღნიშნავს, და ეჟვენი მარშის დევიზიც ასეთი ეჟრეა: „ჩვენ ეჟენ ეაკიმედო ცელა-ბარნა, ეკომკავშირნა!“

როგორც ხედავთ, გაბართლებული ბიერი ვგავენ, „ბრიგადული სასაბაკეოთ ბაკეშ“ გეგიმმის, გისურვებთ, როგორც ყოველთვის, ახლაც გესაბეულებინოთ თავი.

„კოშენისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად იყავთ მზად!“

„მზად ვართ!“ — დაიგეკუნა რაზმეულმა.

*

ეიდეი ეაბაკეა, ეაბაკეა ბეაბაკეა.

„კიდევ რა გავაკეთოთ ახალი, მიმზიდველი და საინტერესო?“
— ფიქრობს მე-6 კლასის მოსწავლე მარინე ჭიღლაძე.

ორგი ჯიქია, რომელიც მშობლებთან ერთად ხანგრძლივი დროის მანძილზე ალჟირში იყო. ვისაუბრებთ ცხოვრების საბჭოური წესის უპირატესობაზე კაპიტალისტურთან შედარებით.

3. რევოლუციის მე-60 წლისთავთან დაკავშირებით მოვაწყობთ სამდღიან ტურისტულ ლაშქრობას არაგვის ხეობაში, სადაც წარმოვადგენთ ლიტერატურულ მონტაჟს „ბუნება მბრძანებელია“, აქვე შევქმნით ზეპირ ჟურნალს „მორბის არაგვი არაგვიანი“; მოვაწყობთ შეჯიბრებას სპორტის ეროვნულ სახეობებში და გადავიღებთ დიაფილმს.

4. სკოლის 10 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით სკოლის ეზოში მოვაწყობთ გეოგრაფიულ მოედანს.

5. ჩავატარებთ შეკრებებს თემებზე „საქართველო მრავალეროვანი რესპუბლიკაა“ და „რას მოგვითხრობს სსრ კავშირის რუკა“ (მოხსენებებს გააკეთებენ პიონერები ნინო ჭეიშვილი და ნინო ჩუბინიძე).

6. ვიბრძოლებთ უდისციპლინობის წინააღმდეგ.

7. საკავშირო შაბათობის დღეს შაბათობას მოვაწყობთ ჩვენს შეფებთან — ინსტრუმენტულ ქარხანაში.

ᲣᲕᲔᲚᲐ ᲩᲐᲜᲐᲤᲘᲥᲠᲘ ᲒᲝᲚᲝᲡ ᲞᲘᲝᲜᲔᲠᲗᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲗᲐᲜ ᲘᲣᲠᲘᲡ ᲗᲐᲕᲨ.

მე-6² კლასი.

1. ოქტომბრის იუბილემდე დარჩენილ ყოველ დღეს გამოვაცხადებთ ბეჯითი სწავლის, სანიმუშო ყოფაქცევის პიონერობის დღედ.

2. ჩავატარებთ შეკრებას თემაზე „არც ერთი ჩამორჩენილი ჩვენს გვერდით“ და „კომუნისტებისაგან ვიღებთ მაგალითს“.

3. განვიხილავთ კონსტიტუციის პროექტს.

4. მოვაწყობთ ექსკურსიას ავლაბრის არალეგალურ სტამბაში.

5. დავდგებით საკავშირო რადიოხაზზე და ავიღებთ ახალ ვალდებულებებს.

6. მოვაწყობთ კონკურსს საუკეთესო ნახატზე, ლექსის საუკეთესოდ წაკითხვაზე.

7. შევაგროვებთ 5 ტონა ჯართს.

8. შევხვდებით მე-6¹ კლასს სპორტულ შეჯიბრებებში — ფეხბურთსა და ჭადრაკში.

9. მოვაწყობთ ოქტომბრელთა ზეიმს.

სერიოზული მიდგომა ამ შესანიშნავი თაოსნობისადმი, ინტერესთა მრავალფეროვნება, სკოლის, წიგნის, სპორტის სიყვარული, სურვილი — მხარი უსწორონ უფროს მეგობრებს — კომუნისტებს, დიადი საქმის რწმენა, აი რა გახარებს, როცა ამ ვალდებულებებს ეცნობი და პიონერებს, მათ ხელმძღვანელს, სკოლის დირექტორს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს მანანა კობახიძეს ესაუბრები.

ფართო, ნათელი დერეფნები, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი კაბინეტ-ლაბორატორიები, დარბაზები, საცურაო აუზი, ორიგინალური ფერადი ვიტრაჟებით დამშვენებული სარკმლები — ასეთია № 1 რესპუბლიკური ექსპერიმენტული საშუალო სკოლის გარეგნული სახე.

აქ, ამ სკოლის მოსწავლეებთან სტუმრად ყოფილან აკადემიკოსები და პოეტები, სოციალისტური შრომისა და სამამულო ომის გმირები, პარტიზანები, ვეტერანი კომკავშირელები, მსახიობები, მხატვრები, სახელგანთქმული სპორტსმენები, კინორეჟისორები, ყრილობათა დელეგატები, ცნობილი მომღერლები.

მოსწავლეებს მოუსმენიათ მათი საუბრები სამშობლოსათვის თავგანწირვის ზნეობრივ სილამაზეზე, შრომითს გმირობაზე, იდეის ერთგულებაზე, მეცნიერებისათვის თავდადებაზე, თვითაღზრდაზე, ქვეყნის საკეთილდღეოდ გარჯის აუცილებლობაზე, იმაზე, რაც ადამიანს ამაღლებს, ალამაზებს და ადიდებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუსმენიათ, ფირზე გადაუღიათ და ალბომში ჩაუწერიათ, რომ მათ გარდა მომავალ პიონერებსაც ენახათ, გაეგოთ და სხვებისათვის გადაეცათ სახელოვანი მამულიშვილების ნათქვამი.

ამიტომ დღევანდელი ლოზუნგი „სწორება კომუნისტებზე!" მათთვის განყენებული სიტყვები როდია, მათ კარგად იციან, ვისგან აიღონ მაგალითი და რატომ, ვის მიჰბაძონ და რაში. მათ იციან,

„რომ კომუნისტის სახელი გვერქვას,
ყველა როდი ვართ ღირსი,
დაფერილია ეს სიტყვა ყველგან
სისხლით, გმირული სისხლით".

... სკოლაში მისვლამდეც გაგონილი მქონდა გეოგრაფიის მასწავლებლის, ნორა ტარიელაშვილის არაჩვეულებრივი ენთუზიაზმისა და ამ საგნით მოსწავლეთა განსაკუთრებული გატაცების ამბავი.

მაგრამ იმან, რაც ვნახე, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, არა მარტო კაბინეტის ტექნიკური აღჭურვილობის, არამედ გემოვნებით, საქმის ცოდნითა და სიყვარულით მისი მოწყობის გამოც.

ამ კაბინეტში გამართულ საუბარში, მოსწავლეთა მიერ გადაღებული ექსკურსიების, ლაშქრობების ამსახველი დიაფილმების ნახვაში, მათი ნამუშევრების თვალიერებაში სრულიად შეუმჩნევლად გავიდა ოთხი საათი და ჩემთვის გასაგები გახდა, რატომ უნდათ ნორა მასწავლებლის მოსწავლეებს გახდნენ ოკეანოლოგები, ვულკანოლოგები, სპელეოლოგები, გეოგრაფები, ქვეყანათმცოდნეები, ყინულმჭრელი გემის კაპიტნები და მეზღვაურები, მოგზაურები... იქნებ ამ წითელყელსახვევიან გოგონებსა და ბიჭუნებს შორის არიან მომავალი ამუნდსენები, პრჟევალსკეები, სკოტები, მაგელანები...

ამიტომ ალბომის იმ გვერდზე, სადაც წერია „ვის მსურს მივბაძო?" ბევრი მეექვსეკლასელი წერს: „ნორა მასწავლებელს". ზოგისთვის მისაბაძი მაგალითი საკუთარი ბაბუაა, დედაა, უფროსი ძმაა, ზოგისთვის — იური გაგარინი, ზოია რუხაძე, ნონა გაფრინდაშვილი.

მაგრამ მოსწავლეებს ისიც შეუგნიათ, რომ, თუ ნებისყოფას არ გამოიწრთობ, უარყოფით თვისებებს არ შეებრძოლები და არ ამოძირკვავ, თუ სიმართლის თქმას არ მიეჩვევი, ისე კომუნისტებს მხარს ვერ უსწორებ.

და აი, ალბომში, რომელიც კლასის ყოველგვარი საქმიანობის სარკედ ქცეულა და რომელსაც „დღენი სიყმაწვილისა" ჰქვია, განყოფილება „აღარ შეგარცხვენთ" გადავშალე და წავიკითხე:

„ქვათახევში ექსკურსიაზე ცუდად მოვიქეცი. პურის ნატეხებს ვისროდი ავტობუსში და ვაშლის ნარჩენი ტაძრის კედლის ერთ-ერთ ნაბზარში ჩავაკვეხე. პირობას ვდებ, ეს აღარ განმეორდება".

„მე მასწავლებელი მოვატყუე. ვუთხარი: დღიური მშობელს აქვს-მეთქი. სინამდვილეში კი დამალული მქონდა. დღეიდან ასე აღარ მოვიქცევი".

„რა უარყოფითი თვისებები გაქვთ? — ასეთი იყო შეკითხვა.

„დაუფიქრებლობა, ცეტობა, უყურადღებობა, უპასუხისმგებლობა, გაკვეთილზე ფუსფუსი, სიზარმაცე, ძილისგუდა ვარ, ამხანაგს თმებს ვქაჩავ ხანდახან, დილით ადგომა მეზარება".

ასეთი იყო გულახდილი პასუხები ამ შეკითხვაზე და ყოველ ცალკეულ პასუხზე თავის დროზე უმსჯელიათ კოლექტიურად, დასაგმობი დაუგმიათ, შესაქები შეუქიათ.

პიონერთა „შტაბ-ბინაში" — მე-62 კლასელები დათო დემეტრაშვილი, ზურიკო თოფურიძე, მანანა გაბიცინაშვილი, დარეჯან ლომიძე და ქეთინო კოდუა ალბომსა და კედლის გაზეთს აფორმებენ.

„ბოტანიკის გაკვეთილზე ჩემს ამხანაგზე, გიორგი კვარაცხელიაზე დავწერე ლექსი, რომელშიაც ნახმარი იყო ცუდი სიტყვა. მეტს აღარ ჩავიდენ".

„21 სექტემბერს გია სტეფანოვთან ჩხუბი მომივიდა და თვალში მუშტი მოვარტყი. მე ვიყავი დამნაშავე. აღარ ვიჩხუბებ".

აი, ასეთი აღსარებებით პიონერები ეჩვევიან თვალი თვალში გაუყარონ სიმართლეს, გაბედულად აღიარონ თავიანთი დანაშაული.

მეორე გვერდზეც არანაკლებ საინტერესო ჩანაწერებს წავაწყდი:

აი, ერთი მათგანი:

დღეს კი ეს პიონერები დიდ თაოსნობაში ჩაებნენ და ივალდებულეს, ოქტომბრის იუბილემდე დარჩენილი ყოველი დღე განსაკუთრებული შრომისმოყვარეობის, ბეჯითი სწავლის, ყველგან და ყველაფერში პიონერობის დღედ გამოაცხადონ.

— მოწინავეთა გამოცდილება — ყველას, არც ერთი ჩამორჩენილი ჩვენს გვერდით, ჩვენს შორის, ჩვენს რიგებში. სწორება კომუნისტებზე! — აი, მათი დევიზი.

ნარგიზა მგელაძე.

ფოტო ვ. ბორისენკოსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრის გზით, ლენინის გზით

მზია ჩხეჯიანი

მხატვარი ზ. ფოლრჩხიძე.

პიონერეთი ჩემი

მზესაც აღვიძებს საყვირით
და დაფდაფების ცემით
მარად მჩქეფარე აპრილი —
ჩემი ლამაზი ქვეყანა —
პიონერეთი ჩემი!
მზის და ოცნების სამყარო,
სასწაულების მხარე,
კისკასი,
მარად ახალი,
ქვეყნის ნათელი ხვალე.
აქ ყველა ქუჩით,
შარაგზით,
მინდვრით,
ორღობით,
შუკით —
მოდის სიცოცხლე — ლამაზი
ყელსახვევების შუქით.
ხელში გვინთია ბრიალა
დროშა ყაყაჩოსფერად,
ფიცს დავდებთ —
მზემდე მიაღწევს
ნორჩი გულების ძგერა!
გზები გაშლილა — რა გზები,
რა სიმაღლის და გრძნობის,
სულში კოცონის ამგზნები
სწავლის,
შრომის და,
ძმობის.
მზად ვარ! —
სამშობლოს ძახილზე
მწკრივს ენაცვლება მწკრივი,
რა ოცნებებით ავივსეთ,
გულში რა ცეცხლი ღვივის!
ჩიტუნებივით ფრთხიალით
წამოვიშლებით დილით.
და სიმღერების წკრიალით
მზისკენ მივყვებით ბილიკს.
დილას ათენებს საყვირით
და დაფდაფების ცემით
ცად სიმღერებად აჭრილი —
მარად მჩქეფარე აპრილი —
პიონერეთი ჩემი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შიგ — სიცოცხლის ზვირთებად
ვშფოთავთ,
ვგუგუნებთ,
ვბორგავთ,
აქ ფრთიანდება, იზრდება
კომუნისტების მოდგმა!
აქ შრიალებენ წიგნები
იდუმალებით, გზნებით; —
არ გვასვენებენ,
გვიხმობენ
ცოდნის სამყაროს გზები.
გზები სულ ცერად სავალი,
გასაოცარი,
რთული;
არ დრკება აღმამავალი
პიონერული გული!
ბინდბუნდში კრთება მწვერვალი —
ცოდნის მწვერვალი ლურჯი;
პიონერულად მღელვარე,
პიონერულად ურჩი,
დგას გზაზე რაზმი ყმაწვილთა —
ნორჩ ლენინელთა რაზმი,
თვალში ცეცხლია არწივთა
და უდიდესი აზრი!
არ ვკრთებით,
განა მხდლები ვართ,
რაზმო, სრული სვლით იარ!
ჩვენ ხვალის მშენებლები ვართ,
პიონერები გვქვია!
არ მოსდგამთ უკან დახევა
პიონერეთის მკვიდრებს,
სრული სვლით! —
ჩვენი მწვერვალი
არ დაგვიპყრია ვიდრე!
ასე ნათდება თანდათან
ცოდნის მწვერვალი შორით,
ჩვენ ბრძოლის ჟინი თან დაგვყვა,
სიძნელეებთან ბრძოლის!
და შრიალებენ წიგნები
იდუმალებით, გზნებით,
გვხიბლავს ძიებით, მიგნებით
ცოდნის სამყაროს გზები!
როგორც მდინარის ზვირთები —
მოვქრით,
მოვფრინავთ,
ვბორგავთ,
აქ ფრთიანდება, იზრდება
კომუნისტების მოდგმა.
ტროლებივით ვაღვიძებთ
ცისკარს საყვირის ხმებით
მზად ვარ! —
სამშობლოს ძახილზე
მწკრივში სიმღერით ვდგებით.
ფიქრით,
ოცნებით,
ხალისით
და ლენინური რწმენით
ითენებს ახალ აისებს
პიონერეთი ჩემი!

●

აქ აშენებენ მშვიდობის ბაღებს,
აყვავილებენ ძმობის ხეივნებს,
ჰკვეთს კარუსელი ცის მაღალ თაღებს
და ვარსკვლავეთში დაგვასეირნებს,
აქ აშენებენ ფერად ქალაქებს,
აქ ცისარტყელებს ჰგვანან ქუჩები,
სიო არიგებს ცისფერ ბარათებს,
კარდაკარ დაქრის მზის ფაჩუჩებით.
სიო არიგებს ცისფერ ბარათებს —
მოძმე ტოლების ნათელ სურვილებს.
ღიმილს,
სულში რომ შემოანათებს,
ფიქრებს,
მზიანს და ოქროცურვილებს.
ნათდება ყველა სახლის სარკმელი
და მეგობრობის შუქით ჩახჩახებს.
ძმობის,
მშვიდობის სახელს არქმევენ
ყველაზე ლამაზ სკვერს თუ სასახლეს.
და ახატავენ ნაცრისფერ კედლებს
მზეს,
ყვავილწნულებს,
ჩიტებს და...
დედებს,
მთელი მსოფლიოს ყმაწვილთა ბედზე
ლაჟვარდს უსვევენ ღუღუნა მტრედებს.
და იჭიმება სიმივით ხაზი
მჯიღშემართული...
წყება და წყება
პიონერული
რაზმი და რაზმი
მსოფლიოს ბავშვთა ქომაგად დგება!
ქვეყნად მშვიდობის ქომაგად დგება,
ნორჩი ხელების მადლით და წვლილით
მოაქვს სიცოცხლის უძლეველ ხმებად
ოფლიც და შუქიც
თავისი წილი.
ქალაქს თუ სოფელს,
ყიშლაღს, აულებს
უმართავს ლამაზ დღესასწაულებს:
წიგნის ზეიმებს,
შრომის ზეიმებს,
სპორტის ზეიმებს,
ფერთა ზეიმებს, —
წერე, აშენე, ხატე, იმღერე
შენი სათქმელი,
როგორც შეიძლებ!
აქ აშენებენ მშვიდობის ბაღებს,
აყვავილებენ ძმობის ხეივნებს.
კვეთს კარუსელი ცის მაღალ თაღებს
და ვარსკვლავეთში დაგვასეირნებს.

●

სკოლაა თუ ზვარია,
ყანაა თუ ლელოა,
ყველგან სასახელოა
მზედ აგიზგიზებული,
ცეცხლად ამონთებული
რაზმი პიონერული! —
წვიმს, მზეა თუ ქარია —
ჩვენი საფიცარია
ტკბილი მამულ-დედული —
მთა-ლაჟვარდებს შერთული,
გზა-ლაჟვარდებს შერთული,
იმედად რომ ვეგულვით, —
კოლხეთი თუ ენგური!
რა საქმეს არ გვანდობენ.
ჩვენი სჯერათ,
დიაღაც! —
პიონერულ ნადნობებს
ფოლადის ცხელ ნიაღვარს —
ელმავლებად აქცევენ,
აშენებენ ხომალდებს,
კოლხეთზე და ენგურზე,
ბამზე ზრუნვაც მოგვანდეს;
გულიც უფრო გვენთება,
სიამაყით გვევსება,
ტაიგაშიც გაჭრილა
პიონერულ რელსებად.
ყანაა თუ ლელოა —
ყველგან სასახელოა
მზედ აგიზგიზებული
რაზმი პიონერული —
სამშობლოზე ზრუნვით და
ფიქრით გატაცებული.

●

ჩიტი წითელფრთიანი —
ჩვენი ყელსახვევი
მკერდზე გვაზის,
ფრთხიალებს,
ფრთხიალებს და
მღერის!
გვიხმობს დიდი ოქტომბრის
და ლენინის გზებით.
გზებით, სადაც მოქროდნენ
მეომარი ძმები —
სიმართლისთვის მებრძოლი
მეომარი ძმები!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰქროდნენ და მოჰქონდათ
ათასნაირ ბობოქარ
ხანძარსა თუ თქეშში
დიდი რევოლუციის
სულიცა და ეშხიც,
განბანილი ათასგზის
წმინდა სისხლის ფერში —
დროშა წითლად ბრიალა!
ფრთხიალებს და
ფრთხიალებს
და ჩიტივით მღერის
მკერდზე წითელფრთიანი
ჩვენი ყელსახვევი.
ალბათ ასე მღეროდა
მოროზოვის მკერდზეც,
ალბათ ასე მღეროდა
კოშევოის მკერდზეც,
ალბათ ასე მღეროდა
გამცემლიძის მკერდზეც,
გმირებს ასე ელოდა
უკვდავების გზებზე.

ბობოქრობს და ირევა
ისტორიის ფურცლები!
თქვენ დიდება, გმირებო,
თურმე რა ცეცხლს უძლებდით!
მოდიოდით, იწვოდით,
სული კბილით გეჭირათ,
რომ ნათელი სიცოცხლის
ჩვენთვის გადაგერჩინათ!
ცოცხლდებიან გმირები,
ჩვენს მწკრივებში დგებიან.
— პიონერო, მზადა ხარ? —
უხმოდ გვეკითხებიან.
თავზე გვადგას ჩახჩახა
დროშა მზედ გადმოხრილი,
— პიონერო! მზადა ხარ?
მოგვძახის და
მოგვყივის
დროშა წითლად ბრიალა
ცეცხლში გამონაწრთობი,
ნათელი და მზიანი,
ქარიშხლებში ნაშობი!
თქვენ დიდება, გმირებო!
თურმე რა ცეცხლს უძლებდით!
ბობოქრობს და ირევა
ისტორიის ფურცლები!
შფოთვით, რისხვით, ქუხილით
იცვლებიან კადრები,
თქვენს ტკივილზე წუხილით
ვიზრდებით და ვმაღლდებით

ეს ლენინის გზებია,
ეს ოქტომბრის გზებია,
გზად გვხვდებიან გმირები,
— მზად ხართ? —
გვეკითხებიან!

•

ოქტომბრის გზით,
ლენინის გზით! —
გვიხმობს ყველა დრო და გმირი,
მწყობრში ვდგებით
საქმით,
მიზნით —
უთვალავი კორჩაგინი!
დროშითა და დაფდაფებით
მოვაბიჯებთ:
— ერთი, ორი!
მზის ამოსვლას კვლავ მზად ვხვდებით
მე,
შენ,
ჩვენ და
მთელი რგოლი!

ჩვენ იქ ვდგავართ, სადაც ადრე
არწივები ფრენდნენ ოდენ, —
აკი მისთვის დავიბადეთ,
როგორც გმირებს შეგვხვაროდნენ!
— ერთი, ორი!
დაჰკა დაფდაფს!
ნათელი გვაქვს გზაც და აზრიც,
სამშობლოსთვის მზად ვართ,
მზად ვართ!
მე,
შენ,
ჩვენ და
მთელი რაზმი!
დე, ჩვენც ვწამდეთ მშობელ კერას
გოლიკოვად, მოროზოვად,
ჩვენც შევმატებთ დღეებს ფერადს
შუქთა თოვას, ვარდთა თოვას!
— ერთი, ორი!
აბა, მარშით!
მამულს — ჩვენი ხმა და გული!
გმირებს მტკიცედ მივდევთ კვალში
ჩვენ,
თქვენ, —
მთელი რაზმეული!
ოქტომბრის გზით!
ლენინის გზით! —
გვიხმობს ყველა დრო და გმირი,
მწყობრში ვდგებით
საქმით, მიზნით —
უთვალავი კორჩაგინი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქტომბრის ყვავილები

მუსიკა მანანა არაგბიძისა
თბილისის მე-6 საშუალო სკოლა,
VII კლასი.

ტექსტი
ილია სიხარულიძისა



ოქტომბრის ყვავილები ვართ,
ვიშლებით და ვიფურჩქნებით!
მშრომელ ხალხის შვილები ვართ,
მარად მათთან ვიქნებით!

დიდება მარადს

ნანა ანთაძე,
ლანჩხუთის რაიონის ჯურუყვეთის
8-წლიანი სკოლა, VI კლასი.

ჩვენს მეგობრობას
ვერავინ გაწყვეტს,
ყველანი ერთურთს
ვუდგევართ მხარში;
დიდება მარად
ამ მეგობრობას,
დიდება მარად
საბჭოთა კავშირს!
ვართ ბედნიერი
ხალხის შვილები,
პარტიის ზრუნვა
ჩვენ არ გვაკლია,
ლენინური გზით
ვიაროთ მტკიცედ —
ჩვენი წმინდათა
წმინდა ვალია.
ვართ დარაზმულნი
და წინ მიგვიძღვის
თავისუფლების
დროშა გაშლილი,
მიდამოს სწვდება
და შორს გაისმის
პიონერული
„ვაშას“ ძახილი.

მეჩაიე გოგონა. ნანა გაცანაძე,
გურჯაანის რაიონი, კაჭრეთის
საშუალო სკოლა, IX კლასი.

134442

*

ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘ.

ᲜᲐᲜᲐ
ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ,
ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘᲡ
ᲠᲐᲘᲝᲜᲘ,
ᲒᲝᲒᲝᲚᲔᲘᲡᲣᲑᲜᲘᲡ
ᲠᲕᲐᲬᲚᲘᲐᲜᲘ
ᲡᲙᲝᲚᲐ,
VI ᲙᲚᲐᲡᲘ.

*

ᲕᲔᲓᲠᲔᲕᲐ

ᲩᲐᲜᲐᲮᲐᲢᲘ

მე ერთ პატარა ქალაქში ვცხოვრობ.

ვკითხულობ წიგნებს.

ვნახულობ კინოს.

ვისმენ მუსიკას...

ერთი სიტყვით, ვცხოვრობ ჩვენი ლამაზი ქალაქის ცხოვრებით. მიყვარს ჩემი პატარა ქალაქი და ოცნება, მაქვს საკუთარი ფანტაზია. ჩვევად მექცა ამა თუ იმ საგნის ან მოვლენის სხვადასხვა ფერში წარმოდგენა.

ძალიან მიყვარს სურათები, თუმცა არასოდეს მინახავს ნამდვილი გამოფენა, დიდი მხატვრების ტილოები, მხატვრის სახელოსნო.

ჩემს ოთახში გურამ თიკანაძის ფოტონამუშევარი მაქვს კედელზე გაკრული. „ვედრება“ შეურჩია [illegible] სურათისათვის.

თუთის ხე, დაკორძებული, ამაყად მდგარი, და მაინც მორიდებული და ნაზი. ნორჩი ყლორტები გაუწვდენია ბებერ თუთას ზეცისათვის, თითქოს ევედრება გადარჩენას. კვირტები დასკდომაზეა. მოლოდინში გარინდებულა თუთა. ელოდება მოთმინებით, ჯიუტად.

და დიადია ეს მოლოდინი, ეს სიჯიუტე. განწყობილებას გააჩნია, — ზოგჯერ ვუყურებ თუთას და მეჩვენება: მაღალი, ჭაღარა ქალი ფანჯარას მისდგომია, პატარა შვილიშვილებისათვის მოუხვევია ხელები. მოწმენდილ ცას გასცქერიან. ქალი რაღაცას ჩაუფიქრებია, რაღაცას იგონებს და წარსულში აფათურებს ნაოჭადქცეულ, მოცახცახე ხელებს. ბავშვებს კი ეშმაკუნები ჩასახლებიათ დაჭყეტილ თვალებში და მზეს უყურებენ, ცას უყურებენ, უღრუბლოსა და ნათელს.

საქართველოს ჯანმაგარსა და ლაღად მხარგაშლილ მუხას ადარებენ ყოველთვის, მე კი ეს ბებერი თუთაც საქართველო მგონია — საქართველო ძველი და ბრძენი, დაკორძებული, ჭირთა მთმენი, ახლის ახლებურად დამნახავი. ნორჩი ყლორტები კი საქართველოს შვილებია, ძლიერ ფესვებში ფეხგადგმულები, სიცოცხლისაკენ, სიახლისაკენ, ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ სწრაფმავალნი.

ამბობენ, ყველაზე წკრიალახმიანი ფანდური თუთის ხისაგან ითლებაო. ჰოდა, რა ჩააქრობს ამ წკრიალა ხმებს!

...და სურათს მაინც „ვედრება“ ჰქვია...

ვედრება მოწმენდილი ცისადმი, ბრჭყვიალა მზისადმი, — ზრდისა და განახლებისა, ვედრება მომავლისათვის.

რა ნათელი სული ჰქონია ხელოვან ადამიანს — უბრალო თუთაში ჩააქსოვა და წაგვაკითხა მიწის ძალა, მზიანი ცის ძალა, საღი ფესვის გამძლეობა, ნაზი ტოტების მისწრაფება.

რა მომხიბლავი სული ჰქონია ხელოვანს!

... მე პატარა, წყნარ ქალაქში ვცხოვრობ.

მიყვარს ჩემი ქალაქი და ოცნება, მიყვარს სურათები, თუმცა არასოდეს მინახავს ნამდვილი გამოფენა.

ᲘᲠᲘᲜᲔ ᲓᲒᲔᲑᲣᲐᲫᲔ,
მახარაძის მე-2 საშუალო სკოლა,
VIII კლასი.

*

ᲨᲔᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐᲖᲔ.

ᲛᲔᲠᲐᲑ
ᲥᲐᲕᲨᲐᲠᲐᲫᲔ,
ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ
ᲒᲣᲠᲘᲐᲜᲗᲘᲡ
ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ
ᲡᲙᲝᲚᲐ,
VII ᲙᲚᲐᲡᲘ.

*

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცნობი ჯარისკაცის საფლავთან. ირმა კირკიტაძე,
ზესტაფონის მე-3 სკოლა, IV კლასი.

თავდადება. ნუგზარ გოზალოვი,
კასპის 1-ლი საშუალო სკოლა, VII კლასი.

მუსიკა ნინო ცინცაძისა
ლანჩხუთის საშუალო სკოლა, II კლასი.

ანა-ბანა

ტექსტი
მორის ფოცხიშვილისა

Allegretto

ა-ნა-ბა-ნა, ა-ნა-ბა - ნა სი-ხა-რულ-მა
ა-მი-ტა - ნა ჩე-მი ქვეყ-ნის სი-ყვა-რულ-მა სად-ღა ა-ღარ წა-მი-ყვა- ნა
მთებ-ში ჩან-ჩქე-რე-ბი ვნა - ხე ბარ-ში ი - ა ვარ-დის ყა - ნა
ეს პა-ტა-რა სა-ქარ-თველო რა ყო-ფი-ლა ა-მის-თა ნა

ანა—ბანა, ანა—ბანა,
სიხარულმა ამიტანა,
ჩემი ქვეყნის სიყვარულმა
სადღა აღარ წამიყვანა.

მთებში ჩანჩქერები ვნახე,
ბარში — ია-ვარდის ყანა,
ეს პატარა საქართველო
რა ყოფილა ამისთანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაე მუდამ
იყოს მზე.

ნატო
შერგელაშვილი,
ზესტაფონის მე-3
საშუალო სკოლა,
IV კლასი.

სინათლის გზით.

რამაზ
გოგოლაშვილი,
ზესტაფონის მე-3
საშუალო სკოლა,
IV კლასი.

სამოცი წელი

ირინე
დგებუაძე,
მახარაძის
მე-2 საშუალო
სკოლა,
VIII კლასი.

სამოცი წელი,
სამოცი გაზაფხული,
სამოცჯერ ატმების აკისკისება;
სამოცი ოქტომბერი,
სამოცი მაყრობა,
ქვევრების სამოცჯერ აპიპინება.

სამოცი წელი ადასტურებს
ოქტომბერს მართალს,
მტრებმა ვერ ნახეს ჩვენს მიწაზე
ფეხმოსაკიდი,
მშვიდობის დროშით მშრომელ
ხალხებს წინ მიუძღვება
ოქტომბრის ცეცხლით ანთებული
პარტია დიდი.

სამოცი წელი — ულევი სიხარული,
შრომის ფერხულში ძმა ძმის
გვერდით
ლაღად ჩაბმულა,
მთელმა სამყარომ დაინახა, ჩვენს
ქვეყანაში
შრომამ მშრომელ კაცს უკვდავება
როგორ არგუნა.

სამოცი წელი — კოსმოსური
სივრცის დაპყრობა,
არხების გაჭრა, ჯეჯილების აბიბინება,
ფეხდაუდგმელი არც ერთი გოჯი,
ზღვაზე, ხმელეთზე ვაჟკაცური
აყიჟინება.

სამოცი წელი, —
სამოცი გაზაფხული,
სამოცჯერ გულის საოქტომბროდ
აკისკისება;
ულამაზესი ოცნებების, ფიქრთა,
იმედთა
ვარდ-ყვავილების კოცონებად
აგიზგიზება.

მესამოცედ გვესალმება

ჩვენ ყოველდღე გვემატება
სიხარული ბევრზე ბევრი, —
მესამოცედ გვესალმება
საფიცარი ოქტომბერი.
მტერს აშფოთებს
ჩვენი ყოფა,

შაგათობა.

მაია
აგესაძე,
ზესტაფონის
რაიონის
ქვედა საზანოს
საშუალო სკოლა,
VI კლასი.

დის პორტრეტი.

გოჩა
ზირაქიშვილი,
თბილისის 114-ე
საშუალო სკოლა,
VII კლასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაე მუდამ
იყოს მზე.

ნუკრი
კოგაიძე,
ზესტაფონის
რაიონის
ქვედა საზანოს
საშუალო სკოლა,
VI კლასი.

ზაფხული.

მაია მოსიძე,
ზესტაფონის რაიონის
ქვედა საზანოს
საშუალო სკოლა,
VI კლასი.

ეს დღეები ვარდისფერი;
ფუძეს ვუყრით
დიად მყობადს
და წინ გვიძღვის ოქტომბერი.
დღეს ლოდიც კი თავს იწონებს
და უბრალო
კორდიც მღერის,
სულ წინ,
სულ წინ მიგვაქროლებს
საყვარელი ოქტომბერი.

ოთარ ფიფია,
წალენჯიხის რაიონის
პალურის საშუალო სკოლა,
VII კლასი.

*

ფანჯარასთან.

ლალი
მანჯავიძე,
ზესტაფონის
მე-3
საშუალო
სკოლა,
V კლასი.

*

ანაბგა.

ნინო გოგოლაშვილი,
ზესტაფონის მე-3 საშუალო სკოლა, V კლასი.

ცირკი.

ავთო ჩაჩანიძე,
ზესტაფონის მე-3 საშუალო სკოლა, VI კლასი.



სმოლნი-
რევოლუციის შტაბი

ლენინგრადი — ლენინის ქალაქი და ოქტომბრის რევოლუციის აკვანი...

ლენინგრადი—რევოლუციის შტაბი, საიდანაც შეიარაღებულ აჯანყებას ხელმძღვანელობდა დიდი ბელადი.

ლენინგრადი — ქალაქი-ტრიბუნა, სადაც გაისმა ლენინის საბრძოლო მოწოდებები და გავრცელდა ბელადის მიერ ხელმოწერილი დეკრეტები...

ლენინგრადი — სადაც მყარი საფუძველი ჩაეყარა მსოფლიოში პირველ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს და გაიშალა გამარჯვების ძლევამოსილი დროშა...

სწორედ რევოლუციის ამ დიად ქალაქთან სისხლხორცეულად დაკავშირებულია სმოლნის ისტორიული სასახლე.

სმოლნის ანსამბლი, რუსული ხუროთმოძღვრების ღირსშესანიშნავი ნიმუში, ისტორიული ძეგლია ჩვენი სამშობლოს გმირული მატიანისა.

არქიტექტურული კომპლექსი სმოლნისა თითქმის ერთი საუკუნის მანძილზე ყალიბდებოდა: XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე.

ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დამდეგს სმოლნის ტერიტორია ფისსახდელ ეზოს წარმოადგენდა, მაგრამ იმავე საუკუნის შუა ხანებში აქ უკვე საფუძველი ეყრება სმოლნის მონასტრის მშენებლობას. მისი სულისჩამდგმელია გენიალური არქიტექტორი ბართოლომეო რასტრელი, რომელსაც პეტროგრადი და მისი გარეუბნები არაერთი ღირსშესანიშნავი ძეგლით დაუმშვენებია.

XVIII საუკუნის შუა პერიოდში, როცა რასტრელი შეუდგა სმოლნის მონასტრის დაპროექტებასა და მშენებლობას, მონასტრებს უკვე დაკარგული ჰქონდათ დაცვითი დანიშნულება და მხოლოდ რელიგიურ-პოლიტიკურ ორგანიზაციას წარმოადგენდნენ. ამიტომ გენიალურმა არქიტექტორმა გაბედულად აუარა გვერდი მონასტრების ტრადიციულ, მანამდე გავრცელებულ გადაწყვეტას და ხაზი გაუსვა ნაგებობის მონუმენტურობას, კომპოზიციის დეკორატიულობას და ფორმათა ცხოველხატულობას.

სმოლნის მონასტერი — რუსული ხუროთმოძღვრების ეს დიდებული ძეგლი, რასტრელის მრავალრიცხოვან ქმნილებათა შორის ერთ-ერთი უბრწყინვალესია.

1765 წელს პეტერბურგში დაარსდა დახურული სასწავლებელი მეშჩანთა მცირეწლოვანი გოგონებისათვის. არქიტექტორ ფელტენის დაევალა პანსიონისათვის მოხერხებული შენობის დაპროექტება.

ავტორმა ნაგებობას რთული კონფიგურაცია მისცა. შენობა ოვალისებურადაა გაჭიმული და მთავარი ფასადით ნევას გადაჰყურებს, ხოლო ბაღის მხრიდან მას უერთდება ფლიგელების ჯგუფი. ისინი ერთიმეორეს უკავშირდებიან გადასასვლელებითა და გალერეებით, რომლებიც ქმნიან სამ შიდა ეზოს.

ნაგებობის ფასადი უბრალო და მომხიბვლელია.

მშენებლობა 1775 წელს დამთავრდა. ეს იყო სმოლნის არქიტექტურულ კომპლექსში შემავალი ერთ-ერთი ნაგებობა, რომელსაც უფრო გვიან ალექსანდრეს ინსტიტუტი ეწოდა. დღეს იქ ჟდანოვის სახელობის ლენინგრადის უნივერსიტეტის უცხო ენათა ფაკულტეტია მოთავსებული.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრისთვის მონასტრის თითქმის ყველა კორპუსი ეჭირა გოგონების აღმზრდელ საზოგადოებას, თუმცა ოთახების ნაკლებობა ხელს უშლიდა პანსიონის ნორმალურ ცხოვრებას.

1805 წელს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, სმოლნის მონასტრის გვერდით, მდინარე ნევის გასწვრივ აგებულიყო ახალი შენობა, რომელიც დააკმაყოფილებდა დახურული სასწავლებლის ყველა მოთხოვნილებას.

XIX საუკუნის დამდეგს არქიტექტორმა ჯაკომო კვარენგიმ შეადგინა პროექტი და 1806 წელს, პეტრე პირველის დაბადების დღეს, საზეიმო ვითარებაში საფუძველი ჩაუყარა ახალ ნაგებობას. მშენებლობის საერთო ხელმძღვანელობა ასევე კვარენგის დაევალა. ორი წლის შემდეგ, 1808 წლის აგვისტოში, შენობა აკურთხეს.

სმოლნის არქიტექტურულ კომპლექსში შემავალ ამ შენობას სმოლნის ინსტიტუტი ეწოდა.

სმოლნის ინსტიტუტის ნაგებობა გადაწყვეტილია განზიდული ფორმით, მკვეთრად წინ წამოწეული გვერდითი ფლიგელებით და სამი შესასვლელით, რომელთაგანაც ერთი

ცენტრალურია, ხოლო ორი დანარჩენი — გვერდითი.

კვარენგიმ, რუსული კლასიციზმის ამ შესანიშნავმა წარმომადგენელმა, ნაგებობა სიღრმეში შესწია, რის წყალობითაც ეს მონუმენტური ნაგებობა მთელი სიდიადით გადაიშალა მაყურებლის თვალწინ.

სმოლნის ინსტიტუტის სახით კვარენგიმ ხუროთმოძღვრების დიდებული ძეგლი შექმნა, ამ ძეგლში მკაფიოდ გამოვლინდა ეპოქის პროგრესულ-კულტურული ტენდენციები, რუსული კლასიციზმის სრულყოფილი ფორმები და თვითმყოფი ეროვნული ხელოვნების მომხიბლაობა.

●

1917 წლის 24 ოქტომბერს (6 ნოემბერს) საღამოხანს სმოლნის ინსტიტუტში ლენინი მივიდა და სათავეში ჩაუდგა შეიარაღებულ აჯანყებას.

25 ოქტომბერს ღამის 22 საათსა და 45 წუთზე სააქტო დარბაზში გაიხსნა სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობა, ყრილობის დელეგატებს ლენინმა ამცნო პროლეტარული რევოლუციის გამარჯვება და ძალაუფლების გადასვლა საბჭოების ხელში.

სმოლნის ამავე დარბაზში მიღებულ იქნა ზავისა და მიწის დეკრეტი, აქვე შეიქმნა პირველი საბჭოთა მთავრობა. სმოლნის სააქტო დარბაზი, ამ ისტორიული ამბების ნამდვილი მატიანე, მოწიწების გრძნობით ავსებს ყველა საბჭოთა ადამიანს, ვინც მის კარიბჭეს გადააბიჯებს.

სმოლნი რევოლუციის საბრძოლო შტაბი იყო, საიდანაც იმ ბობოქარ დღეებში ლენინი ხელმძღვანელობდა ძლევამოსილ აჯანყებას. სმოლნის მთავარ პორტიკზე დადგმულია ბრინჯაოს მემორიალური დაფები, ხოლო ოქტომბრის რევოლუციის მე-10 წლისთავზე, ცენტრალური პორტიკის წინ, მადლიერმა საბჭოთა ადამიანებმა აღმართეს ლენინის ძეგლი (მოქანდაკე კოზლოვი).

ნაცრისფერი გრანიტის ცილინდრისებრ კვარცხლბეკზე ამოკვეთილია სიტყვები: „გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას!“

●

1923-25 წლებში არქიტექტორებმა შუკომ, გელფეიხმა და მებაღე კანცერმა დააგეგმარეს სმოლნის ინსტიტუტის მთავარ ფასადთან გასაშენებელი გეომეტრიული სიზუსტის ღია ბაღი, — ყვავილებით, გაზონებითა და შადრევნებით; ხოლო ასფალტირებული მისასვლელი დიქტატურის მოედნიდან მთავარ პორტიკამდე ვამწვანებულმა ხეივანმა დაამშვენა.

იქ, სადაც ხეივანი იწყება, იმავე არქიტექტორების პროექტით აშენდა მკაცრი, კლასიციზმის სტილის სადღესასწაულო პავილიონები. დორიული ორდერის ეს სვეტებიანი პროპილენები შესანიშნავად ეხმიანება სმოლნის ინსტიტუტის არქიტექტურულ გამომსახველობას.

ერთ-ერთი პავილიონის ფრიზზე წარწერაა: „პროლეტარული დიქტატურის პირველი საბჭო“ — ეს მოკლე, მაგრამ ბევრის მთქმელი სიტყვები იმ დიდ ისტორიულ მოვლენებზი მეტყველებს, რომლებიც რევოლუციის დღეებში ხდებოდა ამ შენობაში.

●

სმოლნის ინსტიტუტის მარცხენა ფრთის მეორე სართულის № 82 ოთახში 1917 წლის ნოემბრიდან 1918 წლის მარტამდე ცხოვრობდა და მუშაობდა ლენინი. ეს ოთახი თავისი მოწყობილობით დღეს მუზეუმია. იგი დოკუმენტურად არის აღწერილი გამოჩენილი საბჭოთა ფერმწერის ისაკ ბროდსკის ერთ-ერთ ცნობილ ტილოზე, რომელზედაც დიდი სითბოთი და სიყვარულით არის დახატული ვლადიმერ ილიას ძე ლენინი სმოლნის სამუშაო ოთახში.

ლენინის საცხოვრებელი ოთახი სმოლნში მეტად სადაა და უბრალო. ის გადატიხრულია, თუმცა ტიხარი ჭერამდე ვერც კი აღწევს. ოთახის მორთულობას შეადგენს ოვალური მაგიდა და ზედ გაზეთ „პრავდის“ რამდენიმე ნომერი, სავარძლები, დივანი, პატარა საწერი მაგიდა ტელეფონის აპარატით, სამელნით და ნავთის ლამფით.

ტიხრის იქით დგას ტანსაცმლის კარადა, ორი უბრალო რკინის საწოლი, შუაში სასთუმალთან, — პატარა მაგიდა, რომელზეც სარკე დგას. ეს ნივთი ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა კრუპსკაიამ საჩუქრად მიიღო მეტყვიამფრქვევე ჟელტიშევისაგან.

ოქტომბრის დღეებში ჟელტიშევი ლენინს იცავდა თეთრგვარდიელი ჯაშუშებისაგან.

ოთახ-მუზეუმში განლაგებული ექსპონატები და თვით ეს ოთახი დღეს ერთ-ერთი ძვირფასი ისტორიული რელიქვიაა. მას ნახულობს მთელი მსოფლიოს მილიონობით ადამიანი.

●

სმოლნში სამუშაო დღე დილის 9 საათზე იწყებოდა, მაგრამ ლენინი გაცილებით უფრო ადრე შედიოდა თავის კაბინეტში. უპირველეს ყოვლისა იგი ეცნობოდა წერილებსა და დეპეშებს, რომლებიც უხვად მოდიოდა მის სახელზე სმოლნში. ლენინის განკარგულებით სათანადო ორგანოები იმავე დღეს აგზავნიდნენ საჭირო პასუხებს, ხოლო დავალების შესრულებას ბელადს მოახსენებდნენ ხოლმე.

სმოლნში დღედაღამ სიცოცხლე ჩქეფდა. ლენინის განკარგულებით ყველას ჰქონდა უფლება ბელადთან მისულიყო და თავისი აზრი, საჩივარი თუ წინადადება გამოეთქვა.

სმოლნში მოდიოდა ამანათებიც, გლეხები დიდ ადამიანს სურსათ-საზოვაგეს უგზავნიდნენ, მაგრამ ეს ამანათები ლენინის განკარგულებით მხოლოდ საბავშვო სახლებში იხსნებოდა.

ერთხელ სმოლნში ლენინის ნახვის მსურველი ჯარისკაცი მივიდა. სანამ ის მეკარეს მოსვლის მიზეზს უხსნიდა, მათ წინ სასადილოს ოფიციანტმა ჩაიარა, — მას ლენინთან საუზმე მიჰქონდა. სინზე ჭიქა ჩაი და შავი პურის ნაჭერი იდო.

— ვისთან მიაქვთ? — იკითხა მეომარმა.

— ლენინთან, — იყო პასუხი.

— მაშინ მომითმინეთ... — ჯარისკაცმა ზურგიდან ჩანთა მოიხსნა, ჭვავის მთელი პური ამოიღო, შუაზე გაჭრა და გოგონას უთხრა:

— აი, ეს პური აიღეთ, შავი პური კი მე მომეცით, ჩვენებს ვუჩვენებ, თუ რას ჭამს ლენინი. — გოგონამ სურვილი შეუსრულა. რამდენიმე წუთში კორიდორში ლენინი გამოვიდა.

— თქვენი პური იყო? არასოდეს ასეთი გემრიელი რამ არ მიჭამია, — უთხრა ბელადმა სიხარულისაგან სახეგაბადრულ ჯარისკაცს და ხელი ჩამოართვა.

●

1918 წლის 10 მარტს ლენინი, საბჭოთა მთავრობის სხვა წევრებთან ერთად, სპეციალური მატარებლით მოსკოვში გამოემგზავრა, რომელიც იმ დროიდან საბჭოთა სახელმწიფოს დედაქალაქად იქცა; სმოლნის შენობა დაეთმო ლენინგრადის და მასში შემავალი ოლქების პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს.

ლ. გვაზავა-სანაძე.

ბორჯა

გიორგი ხეჩუაშვილი

მოთხრობა

მხატვარი ზაურ დეისაძე.

„დევნა მხეცთა და პირუტყვთა შეაჩვევს მტრობასა და მესისხლეობას, განაბოროტებს გულსა“.

მეფე გიორგი XIII.

ტყისპირას ცხოვრობდა ბერო პაპა. მისი ქვიტკირის სახლი ისე მოჩანდა, თითქოს სოფელს გამოქცევია და აქ ჩამდგარა გარდასულ ჟამთა და ახალი ცხოვრების მიჯნადო... ბეროს უფროსმა ბიჭმა კარგახანია თავი გაარიდა ამ სიმარტოვეს, ციცაბო ფერდობიდან სოფლის ცენტრში გადასახლდა, ტურებმა და მელიებმა ქათმები გამიწყვიტეს, მგლების შიშით ქოსმენი ვერ გამიზრდიაო... დედამამასაც ეხვეწებოდა, რას ჩააცივდით ამ ტყესა და საფლავის ქვებს, გადმოდით, ჩემთან იცხოვრეთო. მაგრამ არ გასჭრა შვილის ვედრებამ, ბეროს ფეხიც ვერ მოაცვლევინა — ტყეს და საფლავებს უპატრონოდ ვერ დავტოვებ, ფუძეს ვერ მოვშლიო. ტყეს თუ ბერიკაცი პატრონობდა, ბეროს მეუღლე საკუთარ კარმიდამოსთან ერთად ეკლესიის ეზოს და სასაფლაოსაც არ აკლებდა მზრუნველობას.

სასაფლაოს ბოლოდან ახალგაზრდა მუხნარი იწყებოდა და მთების კალთებზე შეფენილ დიდ ტყეს უერთდებოდა. ბერო პაპა ამ მუხნარს ხუმრობით „შვილნარს“ ეძახდა.

როცა მისმა შვილიშვილმა პაპუნამ განაცხადა, ბერო პაპასთან და დარო ბებიასთან ვრჩები საცხოვრებლადო, ბერიკაცი სიხარულით კინაღამ ატირდა, ამბობდა — შვილმა თუ მიღალატა, შვილიშვილი ხომ გვერდით მეყოლებაო, ვენაცვალე ჩემს პაპუნას, ბებრებს გული გაგვიხარაო.

ბერო პაპამ ბევრი ზღაპარი იცოდა. ვაჟა-ფშაველას ლექსები, პოემები, მოთხრობები ზეპირად ახსოვდა. ხშირად პაპუნას მეგობრებიც ამოდიოდნენ და გატაცებით უსმენდნენ მას.

— დალოცვილ ბუნებას ყველაფერი ლამაზი, მიმზიდველი შეუქმნია, — უყვებოდა ერთ საღამოს ბერო პაპა ბავშვებს. — ზოგჯერ, საქმე რომ არა მქონია, ფეხით მივლია, ალაზნის მინდვრები და ჭალები ნაბიჯ-ნაბიჯ მაქვს დავლილი. „მუხის წყაროსთან“ მიყვარდა შესვენება, ალბათ, თქვენ არ შეგიმჩნევიათ, ჩემი სახლიდანაც კარგადა ჩანდა მარტოდმარტო დარჩენილი უშველებელი მუხა, რომლის ძირშიც საამოდ მოჩუხჩუხებდა ცივი წყარო, პაპანაქება სიცხეში სამკალზე გასული გლეხები აქ შეაფარებდნენ ხოლმე თავს... რა ჯურის ფრინველი არ მოფრინდებოდა ხოლმე წყაროსთან, მუხის ტოტებზე ყივყივებდნენ, იქაურობას აცოცხლებდნენ.

შარშან რაც მოხდა გახსოვთ: დღე-დღეზე ველოდით მკას. საღამო ხანი იყო. უცებ ალაზნის ველზე ცეცხლი დავლანდე. ვიყვირე, ხალხო, ყანებს ცეცხლი მოსდებია-მეთქი. მერე აგერ, ამ ეკლესიის სამრეკლოზე ავვარდი და ზარების რეკვით სოფელი ფეხზე დავაყენე...

თურმე ბერმუხა იწვოდა, იბუგებოდა მისი ლაღად გაშლილი ტოტები. შეგვეშინდა, ყანებს ცეცხლი არ მისწვდესო, და მუხის ირგვლივ მიწა გავთხარეთ, წრე შევკარით...

იწვოდა „უკვდავების წყაროს“ მშობელი. ტოტებს ტკაცა-ტკუცი გაჰქოხდა. ასე მეგონა, მუხასთან ერთად მეც ვიწვოდი, ვიბუგებოდი. ვიდექი და ვუსმენდი მუხის კვნესასა და გოდებას...

წყაროს გვერდით ღვინის გამოცარიელებული ბოთლები, დამტვრეული ჭიქები, ხორცისა და პურის ნარჩენები ეყარა, იქ ვიპოვე სანადირო დანა, წყაროსთან ეგდო. ალაზნის ბორნისაკენ გავიქეცი, ხალხიც ამედევნა, ზოგმა საით უყელა, ზოგმა საით, მაგრამ დამნაშავეების კვალს ვეღარ მივაგენით.

„უკვდავების წყარო“ ერთხანს მოწანწკარებდა, მერე კი სულ დაშრა.

ბერო პაპამ თხრობა დაამთავრა, მაგრამ მოგონებამ ისე დამდუღრა, თავი მაღლა ვერ აეწია. გარინდული ბიჭები ნაღვლიანი თვალებით შესცქეროდნენ.

— ვინ იქნებოდნენ, ნეტავი, ნუთუ არ შეიძლება მათი კვალის მიგნება? — ბოლმა მოაწვა სულხანს.

— ჰმ, აბა, რას მოვისვენებ, რომ არ გავიგო. გუმანით მიხვედრილი ვარ, ვისიცაა ის სანადირო დანა, მაგრამ ქურდს თუ ქურდობაზე არ წაასწარი, აქეთ შემოგიტევს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვისზე გაქვთ ეჭვი, ბერო პაპავ? — იკითხა მამუკამ.

ბერომ ქეშ-ქეშად გახედა მამუკას, თეთრ წვერზე თითები ჩამოისვა და შუბლზე ნაოჭები წამოყარა, მერე თავი ჩაქინდრა და პასუხი არ გაუცია.

— გვითხარი, ბერო პაპა, ჩვენ მაინც ვიცოდეთ, — სთხოვა პაპუნამ.

— მომპარავმა ერთი ცოდვა ჰქნა, დამბრალებელმა ათასიო. ნუ მათქმევინებთ, გენაცვალოთ ბერო პაპა. სანამ ცოცხალი ვარ, იმის ჯავრს მე თვითონ ვიყრი. თავის პირით ვათქმევინებ...

•

შუახნისა იყო ბერო, სამშობლოს დასაცავად რომ წავიდა ფრონტზე. ტამანის ნახევარკუნძულიდან ბერლინის კარიბჭემდე სდია ფაშისტებს. ომში წასვლის წინ სოფლის უკან მუხნარი იყო აქოჩრილი, შინ დაბრუნებულ ბეროს კი გაჩეხილ-განადგურებული დახვდა. აქაიქ მუხის გადანაჭრებს ყლორტები ამოეყარათ და პატარ-პატარა ბუჩქებადღა ჩანდნენ. ბერო მალე საქმეს შეუდგა — გამოხშირა მუხის ბუჩქები და ამოძირკვული მუხების ადგილას ნერგები ჩაყარა, ცოლ-ქმარი ერთად ეზიდებოდა წყალს. მერე რუ გათხარეს და ხევის წყალი გადმოუშვეს მუხებისაკენ... შემდეგ მათ მთელი სოფელი ამოუდგა მხარში და შიშველი ფერდობი სულ გადაამწვანეს.

მას მერე ოც წელზე მეტი გავიდა. ტანი აიყარეს მუხებმა. ტყეში პანტაც ბევრი დაირგო და კაკალიც, ალუბლებიცა და ჭერმებიც. გაჩნდა მაყვალიცა და ზღმარტლიც. ერთი სიტყვით, ხრიოკი ფერდობი წალკოტად იქცა. ათობით ჰექტარზე გადაიფურჩქნა ტყე.

ბერო კოლმეურნეობაშიც სანაქებო მშრომელი იყო. მაგრამ კოლმეურნეობაში საქმეს მოითავებდა თუ არა, უმალვე მუხნარისაკენ გარბოდა.

ერთხელ, როცა ტყე წამოდგომას აპირებდა — ნერგებმა ფოთლები გამოისხეს, ბერო კოლმეურნეობის თავმჯდომარემ კანტორაში დაიბარა. უყვირა და უყვირა, მაგიდაზე სულ მუშტები უბრახუნა: შენ რა, აქ ერძო საკუთრებას მიწყობო? დღესვე ამოყარე ეგ შენი ფიჩხები, მანდ ხეხილის ბაღი უნდა გავაშენოთო... ბერო შებარბაცდა, ავად შეუთამაშდა მარჯვენა წარბი და იფეთქა:

— თავმჯდომარევ, ხელი აიღე შენს განზრახვაზე, გულში აღარ გაივლო მუხნარის ამოყრა, თორენა... ჩვენი წინაპრები ჭკუიდან გადასულები კი არ იყვნენ, რომ სოფლის ახლო ტყეებს თვალისჩინივით უფრთხილდებოდნენ. სოფელი ფერდობზეა შეფენილი, უტყეო ფერდობი კი საშიშია, მეწყერი მოწყვეტავს და სოფელს დაამწვება. მაშინ რა პასუხს გასცემ ხალხსა და ჯამაათს, რა პასუხს გასცემ შენს ცოლ-შვილსა? მეწყერს თუ გადაურჩა, ზვავსა და წყალდიდობას ვეღარ გადაურჩება სოფელი... ჰოდა, თუ ამდენი არ გესმის, შვილოსა, წადი და სწავლულებს ჰკითხე. ტყე სოფლის მფარველია და მეგობარი. თუ გახარებულ ნარგავებს ამომიძირკვავ, სოფლის მტრად ჩაგთვლი და სოფლის მტერს კი, ხო იცი, რაც მოელის... ხეხილის ბაღი თუ გინდა, ალაზნის ველზე მიწა თავსაყრელადა გაქვს!..

კოლმეურნეობის თავმჯდომარე შეფიქრიანდა, იცოდა ბეროს სიკერპის ამბავი და რაიონის ხელმძღვანელებთან წავიდა საჩივლელად: გეგმა ჩამივარდა, ხეხილის ბაღებს ვეღარ გავაშენებ, ბერო თვითნებობს, გთხოვთ ადმინისტრაციული ზომები მიიღოთო.

და აი. ერთხელ პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ჩამოვიდა სოფელში. მან დინჯად, გულისყურით დაათვალიერა ახალგაზრდა ტყე. ბერო სულ სახეში შეჰყურებდა სტუმარს, გულისფანცქალით ელოდა მის სიტყვას.

ბოლოს, რაიკომის პირველ მდივანს სახეზე ღიმილი მოეფინა და ბეროს ჯიქურ დაუდგა წინ.

— ოჯახს რით არჩენ, ბერო?

ბეროს ისე დასცხა, თითქოს გავარვარებულ თონეში თავდაყირა ჩაეკიდებინოთ, უძრავად იდგა და მონუსხულივით შეჰყურებდა მდივანს. „ვაიმე, ვაიმე, ბერო, ოჯახს რით არჩენო, ჰა!“ კარგა ხანს კრინტი არ დაუძრავს, რაღაც ძალა უკან ეწეოდა.

მდივანმა ბეროს სახეზე უმალ ამოიკითხა მისი განცდები. ახლოს მივიდა, თვალებში ჩახედა. ბერო ტანმორჩილ მუხას მიჰყუდებოდა, გაზეთის ნაგლეჯში ახვევდა თუთუნს, მაგრამ აცახცახებული თითები არ ემორჩილებოდნენ.

— მომეცი ქაღალდი! — წყნარად უთხრა მდივანმა.

ბერომ გაზეთის ნახევი გაუწოდა. როცა მდივანმა საპაპიროსე ჩამოხია, ბერომ კოტიტა თითებით იმდენი დაუყარა თუთუნი, ქაღალდზე ვეღარ დაეტია. მდივანს კეთილად გაეღიმა. ბეროს გაყინული ძარღვები ოდნავ გაუთბა, დაუამდა ყველა ტკივილი. რაც იქნება-იქნებაო, და მოულოდნელად ისე დაიქუხა, რომ იქვე, მის გვერდით გარინდული თავმჯდომარე შეხტა.

— ამოკრინტე, რას გაჩუმებულხარ!

მდივანმა ღიმილით გადახედა გაფითრებულ თავმჯდომარეს.

— შარშან ექვსასი შრომადღე ჰქონდა, ამხანაგო შალვა, — ძლივს ამოილუღლუღა მან.

— ექვსასი?! — გაიკვირვა მდივანმა.

— შარშანწინ?! — იღრიალა ბერომ.

— ცოტა მეტი.

— დარიასა, ჩემს ცოლს?

— ოთხას ორმოცდაათი, — ყურებიანად აენთო თავმჯდომარე.

— წლევანდელიც უთხარი, წლევანდელიც!.. ჰაი, დედასა, ჩემ აუგად ხსენებაზე „მაქსიმკასავით“ აკაკანებდი ხოლმე მაგ ენას, ახლა რად ჩაგივარდა მუცელში, ნეტავი, ჰა?! კაცი არა ხარ?

მდივანმა გულიანად გადაიხარხარა.

— ვთხოვეთ, ჭიაურის ტყეში, მეძროხეობის ფერმაში ემუშავა და... იცით, რა მითხრა? — ფერმა აი, ჩემ ტყესთან გადმოიტანეთ და ვიმუშავებო, — თქვა თავმჯდომარემ.

— ჰო, ჰო, ეგრე ვუთხარი, აქედან ფეხს არ მოვიცვლი, აი, ტყის ახლო-მახლო, თუ გინდა, ქვესკნელიდან მიწას ამოვიტან, იქ კი არ წავალ-მეთქი. აქ ფრონტი არ გეგონოსო. მე უმაღლესი მაქვს დამთავრებული და, სად რა უნდა გავაშენო, შენზე უკეთ ვიცი... ჰაი, დედასა! იცი რა, ჩემო ძმაო, აი, ჩვენ სოფელში მეკვნახე დათებას ხომ იცნობ, ორმოცდაათი უმაღლესი რომ დაამთავრო, იმისთანა ღვინოს მაინც ვერ დააყენებ-მეთქი. მოდი და შენა თქვი, წერა-კითხვა არ იცის-თქო...

— მართალი ხარ, ბერო, ცამდე მართალი! — აღელვება დაეტყო რაიკომის მდივანს, — სწორად მოქცეულხარ... იცი რა, ამხანაგო გიორგი, — მიუბრუნდა თავმჯდომარეს, — განიხილეთ გამგეობის სხდომაზე და დადგენილება გააკანონეთ სოფელს... ამ ტყეს „ბეროს ტყე“ უნდა დაერქვას, ბერო კი ტყის უფროსად დანიშნეთ. შეხედე, რა დიდებული პარკი გაუშენებია! ჰოდა, რაღას ერჩი ამ კაცს? — ძერე ისევ ბეროს მოუტრიალდა: — ხალხი რას იტყვის, „ბეროს ტყე“ რომ შევარქვათ?

ბეროს თვალები გაუბრწყინდა, ეს რა ღვთისნიერი კაცი მომევლინაო, სიამით გახედა შორიახლოს, სიმინდის სათოხნად მიმავალ თანასოფლელებს, ორიოდე ნაბიჯი გადადგა და დაიძახა:

— საბავ, ნიკავ, თანდილ, აბა, ერთი დაბრუნდით!.. ამ ტყეზე მაგათაც ამაგი აქვთ, — თან ჩაილაპარაკა ბერომ.

მდივანმა ერთხანს უხმოდ შეათვალიერა მის წინ შეჯგუფებული გლეხები, შემდეგ დინჯად მიმართა:

— რას იტყვით, მეგობრებო, აქ ტყე სჯობს თუ წერნაგიანი მსხლები?

— „ბეროს ტყეს“ უბატონოდ ხელს ვერავინ ახლებს, ამხანაგო მდივანო! — გოროზად წამოიძახა ერთმა ჭაღარა კოლმეურნემ.

— ჰო, ჰო, ეგრეა, მაშა! — იყვირეს აქეთ-იქიდან.

— აი, თქვენ უკვე დაგირქმევიათ „ბეროს ტყე“, — გაიღიმა მდივანმა. — ჩემი რჩევაა, ბერო ამ ტყის, ასე ვთქვათ, სოფლის პარკის უფროსად დავნიშნოთ. იყოს და მოუაროს. ორ-სამ წელიწადში კაკლის მოსავალსაც მიიღებთ.

— კარგია, კარგია, სწორეა! — დასტური მისცეს გლეხებმა.

მას შემდეგ „ბეროს ტყე“ ნაკრძალად გამოცხადდა. მომრავლდა ფრინველ-ნადირი, აჩხავლდნენ ტურები, აყმუვლდნენ მგლები, ზოგჯერ დათვიც შემობაჯბაჯდებოდა ხოლმე...

პაპუნა იმ ხანებში პიონერული რაზმის საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს.

მისი რაზმის პიონერების დიდმა ჯგუფმა თავი „ტყის ნორჩ მეგობართა რაზმად“ გამოაცხადა და „ბეროს ტყის“ მოვლა იკისრა.

შეფიქრიანდა ბერიკაცი, ბარებით არ დამიზიანონ ნორჩი ხეებიო, მაგრამ სულ მალე დარწმუნდა, რომ არაფერი ჰქონდა სადარდელი. ბიჭები დროზე ბარავდნენ, რწყავდნენ, სხლავდნენ...

„ბეროს ტყეში“ რაზმელებმა პლაკატები და მოწოდებები გააკრეს. ტყეში შესასვლელ ჭიშკარზე ლამაზი ასოებით დააწერეს:

ნუ მომკლავ, ჩემო მინდია,
ნუ დამიბნელებ მზესაო,
უიარაღო რომა ვარ,
მიტომ მიბრიყვებ ხესაო?

„ტყის მეგობართა“ რაზმის ვალდებულებაში ეწერა, „ბეროს ტყეს“ თვალისჩინივით გავუფრთხილდებით, ვიზრუნებთ თითოეულ ხეზე, ბუჩქზე, ნადირსა თუ ფრინველზე და, ვინც კი პირობას გატეხს, სასტიკად გავკიცხავთო.

ამ ვალდებულებას მამუკაც აწერდა ხელს.

მამუკა ტრაქტორისტ გულბაათას შვილი იყო. გულბაათა თავის თავს კარგ მონადირედ თვლიდა. ტყეში ხეტიალს დიდ დროს ანდომებდა. მთელმა სოფელმა იცოდა, რომ გულბაათა ბრაკონიერობდა. ერთხელ წაასწრეს და დააჯარიმეს. თავისი მაინც არ მოიშალა. ორი წლის წინათ შვლის მოკვლისათვის დააპატიმრეს. ციხიდან გამოვიდა და თვალი მაინც ტყისკენ ეჭირა.

●

გვიანი გაზაფხულის საღამო იდგა. ეკლესიის ეზოში რაზმის შეკრება ტარდებოდა. ბერო პაპა ბავშვებში იჯდა და პაპიროსს აბოლებდა.

— ოქმი შედგება! — მკაცრად თქვა პაპუნამ, — ამასაც არ დავჯერდებით, დაე, მთელმა რაზმეულმა იმსჯელოს. აბა, სულხან, ყველაფერი დაწვრილებით უამბე რაზმს.

— დამნაშავე ფეხზე ადგეს! — დაიძახეს გოგო-ბიჭებმა.

მამუკა ზლაზვნით წამოდგა.

— გუშინ, გაკვეთილების შემდეგ, ტყეში წავედით, ჩვენს გაკეთებულ ბუდეებს ვათვალიერებდით, — დაიწყო სულხანმა.

— ვინ და ვინ იყავით? — შეაწყვეტინა პაპუნამ.

— მე, მამუკა და თემური... ჰოდა, ზევით, ხევისპირას, მაყვლის ბარდებს რომ მივუახლოვდით, უეცრად ბუჩქიდან ჭახჭახით შაშვი ამოფრინდა, ზედ ფეხებთან დაგვიფრინდა. აფრინდებოდა და ისევ იქვე, შორიახლო დაგვიფრინდებოდა ხოლმე. ეს ვაუბატონი გამოეკიდა... მაყვლის ბარდებს მოეფარა და... ეგრე არ იყო, თემურ?

— ჰო, ეგრე იყო!

— მალე უკან დაბრუნდა. შევხედეთ — ხელში თავგატეხილი შაშვი ეჭირა. სიცილით გვითხრა, თოფზე ზუსტად ქვას ვისვრიო.

ბერო პაპამ დაიგმინა.

— რად მოჰკალი?! — მკაცრად იკითხა პაპუნამ.

— რად მოჰკალი, რად? — იყვირეს გოგო-ბიჭებმა.

— ოხ, ოხ... კარგი ერთი, ქვეყანა დაინგრა?! — აიფოფრა მამუკა.

— ჰოდა, ავდექი და სილა გავარტყი! — დამნაშავესავით ჩაიბურტყუნა სულხანმა, მერე ხმას აუმაღლა: — ველარ მოვითმინე და გავარტყი! იმიტომ გავარტყი, რომ პირობა დაარღვია.

— არ შეგარჩენ! — დაემუქრა მამუკა.

— ყურებზე ხახვი არ დამაჭრა! — უყვირა სულხანმა და მისკენ გაიწია. პაპუნამ გააჩერა:

— მოიცა, ცემა-ტყეპა რა საკადრისია! უნდა გავრიცხოთ რაზმიდან, როგორც ბუნების მტერი, როგორც პირობის გამტეხი.

— გავრიცხოთ, გავრიცხოთ! — იყვირეს აქეთ-იქიდან.

— ჰმ, ერთი შაშვის გულისთვის? გამრიცხავთ და გამრიცხეთ!

— მოიცა, მოიცა, შვილო, — ახლა კი მოთმინება დაეკარგა ბერო პაპას, ფეხზე წამოდგა. — შენ ამბობ, ერთი შაშვის გულისთვისო?! ვაიმე, ვაიმე, ბედშავო! იცი, რა უბედურება დაატრიალე იმ შაშვის ირგვლივ? არ იცი, ხომ?

— რა უბედურება, ბერო პაპავ? — გაოცებულის ღიმილით მიუგო მამუკამ. — ისე, უბრალოდ ვესროლე და მოხვდა, რა ვქნა, რა ჩემი ბრალია!..

— უბრალოდ თუ ბრალიანად, შენ მოჰკალი შვილების დედა. მაყვლის ბარდებიდან ჭახჭახით, იცი, რად ამოფრინდა? იცი, წინ რად დაგიფრინდათ? იმიტომ, რომ იმ მაყვლის ბარდებში ბუდე აქვს. იმ ბუდეში კი შვილები ჰყავს. და აი, მტერი დაინახა, წინ დაგიფრინდა, მერე უფრო შორიახლოს გადაფრინდა, შორს გიტყუებდათ, რომ შვილები გადაერჩინა. შენ კი მოჰკალი შვილებისათვის თავგანწირული დედა. უდედოდ დატოვე საბრალო ბარტყები. დედა რომ აღარ მიუვათ, ბუდიდან ამობობღდებიან, ძირს გადმოცვივდებიან და... გესმის, რა ცოდვა ჩაიდინე?

ბერო პაპა მთელი სხეულით თრთოდა.

მამუკა გაფითრდა. მოიბუზა, მოიკუნტა. ერთხანს გაოცებული უყურებდა ბერო პაპას, მერე თვალებზე ხელები აიფარა...

— მაპატიეთ, არ მეგონა, თუ... — თქვა სლუკუნით.

— კარგი, კარგი, დამშვიდდი, შვილო! — დაუყვავა ბერო პაპამ. — ხვალ დილითვე გაიქეცი მაყვლის ბარდებთან და თუ წუხელ მელიას ან ტურას გადაურჩენ ის უბედურები, იქვე იქნებიან და ჩამოიყვანე. იქნებ გადაარჩინო. ნუ დაიზარებ, აუცილებლად წადი!

— დილაადრიან გავიქცევი, ბერო პაპა...

მამუკამ ამხანაგებს გადახედა, ისინი მოლოდინით შესცქეროდნენ.

— რა მეთქმის, სულხანმა სამართლიანად გამარტყა... თქვენც მართლები ხართ. მაპატიე, ბერო პაპა, შევცდი.— წაილუღლუღა თავჩაქინდრულმა მამუკამ.

ბერო პაპა ფეხზე წამოდგა. ერთხანს გამომცდელად ჩახედა მამუკას ცრემლიან თვალებში, მერე შუბლშეჭმუხვნილ ბავშვებს გადაავლო თვალი და მტკიცედ თქვა:

—მოდით, ვაპატიოთ, როგორაც მგონია, მამუკა კეთილი ბიჭია და ასეთ რამეს აღარ გაიმეორებს. მე ვარ თავდები.

— მაგის მამასაც ბევრჯერ აპატიეს, მაგრამ ისევ ტყეში დაძვრება, — იყვირა შორიახლოს მჯდომმა ზორბა ტანის ბიჭმა.

— მართალი ხარ, ჩემო სანდრო, მაგრამ ცდა ბედის მონახევრეაო. ეს ერთხელაც ვცადოთ, იქნებ მამის გზას არ გაჰყვეს, იქნებ სიკეთემ გადაძალოს. ეს ერთი თხოვნა შემისრულეთ...

— ბერო პაპა გვთხოვს, უნდა ვაპატიოთ! — დაიძახეს აქეთ-იქიდან.

მამუკას აპატიეს.

მეორე დღეს დილითვე ავიდნენ ბიჭები მაყვლის ბარდებთან. შაშვის ბუდესთან ერთი მკვდარი ბარტყი მაყვლის ტოტზე ეკიდა, მეორე კი აღარა ჩანდა.

ორი დღე-ღამე ბარდნიდა. თოვლმა დაფარა გზები და ბილიკები.

მესამე საღამოს თოვა შეწყდა.

საჩეხში გამოსულმა ბერო პაპამ შემოყრილი თოვლი ნიჩბით გახვეტა... მერე ეზოში გავიდა და თოვლისაგან დამძიმებული ხეხილის ტოტები დაარხია, ჩამოზვავებული თოვლის კორიანტელი დააყენა და თვითონაც თოვლში გაეხვია.

პაპუნამაც გრძელი კეტი გამოარბენინა და ფიცხლად დაურბინა ხეებს.

— ჰო, ჰო, ეგრე, შვილო... ჩამოყარე ეგ ვერანა, თორემ, თოვლი თუ შეაყინა, ამაგი წყალში არ გადაგვეყაროს.

— პაპა, ხვალამდე ხომ გაუძლებენ?

— ვინ იცის, შვილო, ამაღამ თუ არ მოთოვა...

— ხვალ მთელი რაზმეული ამოვა, ხეებსაც ვუშველით და ნადირ-ფრინველსაც.

ფიქრებში წასული ბერიკაცი ბებერი დათვივით დააბოტებდა თოვლში და ხან რას მიაწყდებოდა, ხან რას. პაპუნა ფეხდაფეხ დასდევდა აფორიაქებულ ბერიკაცს და ამშვიდებდა.

— რა თქვი, ხვალ ამოვალთო?

— ჰო, ჩვენი რაზმის გადაწყვეტილებას მთელმა სკოლამ დაუჭირა მხარი, ხვალ ყველა ტყეში იქნება.

ბერიკაცმა შვებით ამოიხვნეშა.

— ბერო, კაცო, არ გესმის!? შენი თავი თუ არ გებრალება, ე ბალღს რაღაზე ჰყინავ!..

ბერო პაპას არაფერი ესმოდა. არა, როგორ არ ესმოდა, მაგრამ თავს იყრუებდა. საძროხეს მიადგა, კიბე მიაყუდა, სახურავზე ავიდა და თოვლი გადმოხვეტა. ძირს რომ ჩამოვიდა, ღობეს ნიჩბის ტარით რახუნი აუტეხა.

— ღობეს რად უნდა დაბერტყვა, პაპავ!

— ჰო, ჰო, არ უნდა! სულ ამერია თავგზა. იცი რა, შვილო, ჩვენი სოფელი მაინც ბარად ითვლება, აგერ იქ კი, მაღლა ტყეში ორ ამოდენას დასდებდა თოვლსა. გაუჭირდება საბრალო პირუტყვს. პირუტყვი ამ დროს ადამიანებს მიაშურებს ხოლმე, გვიშველეთო. ჰოდა, ეგ ვინ უნდათ, შველა!

— კაცო, ხომ არ დაყრუვდი?!. ბიჭი არ გააცინო, თორენა!...

— ოო, დარო თუ გაჯავრდა... აბა, წამო, შვილო... მოვდივართ, მოვდივართ, დედაკაცო!..

მოგიზგიზე ღუმელს რომ მიუჯდა, პაპუნამ მაშინღა იგრძნო შეცივება.

— მოდი აქ, შვილო, აქეთ დაჯექ, ღუმელს ნუ მიეფიცხები, — დაუძახა ბერომ და ფარდაგგადაფარებულ ტახტზე დასაჯდომი მოუმზადა.

დარო ბებიამ სუფრა გაშალა, მარნიდან ერთი ხელადა ღვინოც ამოიტანა.

— აბა, დავილოცოთ, პაპუნა... — თქვა ბერო პაპამ და ჭიქა ასწია, — გაჭირვებულ სულიერსა თუ უსულოს გაუმარჯოს, ვინც იმათ უშველოს, იმათაც გაუმარჯოს!

— გაუმარჯოს, პაპა!

ბეროს გარეთ ეჭირა თვალი. მერე უეცრად გაირინდა და თვალები გაუბრწყინდა, ჭიქა დადგა და გარეთ გავიდა. უკან რომ დაბრუნდა, ხელები ხალისიანად მოიფშვნიტა, სუფრას მიუჯდა და პაპუნას მხარზე ხელი მხიარულად დაჰკრა:

—თოვლის დიდი მბერტყავი მოსულა.

პაპუნამ გაოცებით შეხედა პაპას.

—ქარი ამოვარდა, შვილო, ქარი. ცოტაც თუ გაძლიერდა, ხეებზე თოვლის სინსილას გააქრობს.—უცებ მოი-



ღუშა და ახლა ნაღვლიანად თქვა:—ხეებს კი ეშველებათ, მაგრამ ნადირი სწორედ ასეთ დროს მოჰყვება ხოლმე ნამქერში და...

— ნუ შიშობ, პაპა, ხვალ მთელი სკოლა ტყეში მიდის, ნადირ-ფრინველსაც მივეშველებით.

ბერო პაპას სახე გაუბრწყინდა. პაპუნა სწორედ ისეთი ეზრდებოდა, როგორიც თვითონ უნდოდა. გახარებულმა სასმისი შეავსო და ღიმილით თქვა:

— მოდი, კეთილი ადამიანის ფიქრს გაუმარჯოს... იქნებ ვერც ნახოთ საბრალონი, მაგრამ ბუნების წინაშე ვალში ხომ მაინც აღარ იქნებით. ტყე ჩვენ გვივლის, გვმფარველობს და ჩვენც ტყეს უნდა მოვუაროთ, თორემ ბუნება თუ გაბოროტდა, ქვას-ქვაზე აღარ დატოვებს, მკაცრია და დაუნდობელი.

— პაპავ, აი, მამუკა ამბობს, თოფს წამოვიღებო.

— მოიცა, მოიცა, თოფს წამოვიღებო?!

პაპუნამ შენიშნა, რომ პაპას შუბლი შეეჭმუხნა და სცადა დაემშვიდებინა:

— მე ვუთხარი, თოფი რად გინდა, დასახოცად კი არ მივდივართ, საშველად მივდივართ-მეთქი... იქნებ მგლები ან მელიები შეგვხვდნენო.

— თვალი ისევ თოფისკენ გაურბის! ეჰ, მაგას სხვა მუცლის ტკივილი ხომ არა აქვს? ვაითუ ტყუილად დავუდექი თავდებად. გახსოვს გიორგი მეცამეტის სიტყვები? — „დევნა მხეცთა და პირუტყვთა შეაჩვევს მტრობასა და მესისხლეობასაო, — ბოლო ორ სიტყვას ხაზი გაუსვა ბერომ, — განაბოროტებს გულსაო“. გულბათას ბევრი ცოდვა აწევს უმწეო პირუტყვებისა...

— აბა, პაპავ, მაგან ისეთი პირობა მოგვცა, აღარ იზამს... კარგი ბიჭია!

— რა ვიცი, პაპუნა. ნათქვამია, კვიცი გვარზე ხტისო... თუმცა შენ უკეთ იცი. მაგრამ აი, იმ გულბაათას ხსენებისას გუნება მეწამლება ხოლმე. ღმერთმა ქნას, რომ იმისი ბიჭი იმ მურდალს არ დაემგვანოს ავგულობასა და ავ საქციელში. რაც თოფის სროლა ისწავლა, მუსრს ავლებს საბრალო ნადირსა და ფრინველს, თანაც ეჭვიანის, ფრთხილად იყავით, გარეული ნადირის ხორცით [illegible] რდილიო!.. როცა შეგიძლია ბარტყებს დედა მოუკლა, როცა შეგიძლია სიცოცხლეს გამოასალმო ტყის ანგელოზი შველი, როცა შეგიძლია კლდის ქიმზე წამომდგარ ჯიხვს ან ქორბუდა ირემს ესროლო და ნაპრალში ჩაჩეხო, მაშინ აღარც ადამიანის მოკვლას მოერიდები...

ბერო პაპამ ჭიქა უხმოდ გამოცალა და თქვა:

— ახლა კი ძილის დროა. ხვალ ადრე უნდა ავდგეთ. ჰო, მართლა, მასწავლებლებიც მოდიან?

— მამაკაცებიდან ყველანი, პაპავ.

— ღმერთმა გიშველოთ. სწორედ ეგ მინდოდა გამეგო.

— ნადირი მართლა ჩამოვა?

— ჰო, ცოტა შვლებს გაუჭირდებათ... თქვენები ტყეში ღრმად უნდა შევიდნენ.

— ჩვენ ხეებიდან თოვლის დაბერტყვა დაგვაკისრეს. სხვა ჯგუფებსაც თავისი გზა აქვთ. თურმე მონადირეებიც მოჰყვებიან თოფებით.

— თოფი ძალზე საჭიროა, შვილო, თუკი ის ნამუსიანი კაცის ხელშია. მამუკაც თქვენთან იქნება?

— კი, ჩვენთან იქნება. რაზე მეკითხები?

— ისე...

— ბიჭები დილაადრიან ამოვლენ, პაპავ!

— ღრმად ნუ წახვალთ ტყეში... აქვე, კაკლებთან იტრიალეთ. მუხებს ძლიერი ტოტები აქვთ, გაუძლებენ.

•

დილით, პაპუნას რომ გამოეღვიძა, ბერო პაპა აღარ ჩანდა. დაროს გარედან დაჩეხილი შეშა შემოჰქონდა. ბიჭმა ფაციფუცით ჩაიცვა და ბებიას ჰკითხა:

— სად არის პაპა?

— წავიდა, შვილო, კარგა ხანია წავიდა... საურმე გზის გასწვრივ, კაკლებთან დამელოდონო, იქ ჩამოვალო.

ეწყინა პაპუნას. ბებიას უსაყვედურა, უჩემოდ რად გაუშვი, რატომ არ გამაღვიძეო.

ამ დროს ბავშვებიც ახმაურდნენ ბეროს ჭიშკართან.

— მამუკა სად არის? — იკითხა პაპუნამ.

— ავად გამხდარა, — უპასუხა თემურმა.

— გუშინ თავი სტკიოდა, ალბათ სიცხეც მისცა, — გულისტკივილით თქვა პაპუნამ.

— თაღლითობს, — გაბრაზდა მალხაზი.

— უნდა გაგვერიცხა რაზმიდან, — წამოიძახა ლადომ.

— გაგვერიცხა, გაგვერიცხა! — გაბრაზდა პაპუნა, — ადგებოდი და გარიცხავდი!

პიონერული აქტივის კლუბი

ყ უ რ ა დ ღ ე ბ ა!

მთელმა ჩვენმა ქვეყანამ აზეიმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავი, საყოველთაო-სახალხო განხილვის შემდეგ მოიწონა სსრ კავშირის კონსტიტუციის ახალი პროექტი. ამ ორმა დიდმა მოვლენამ ახალი სიხარულით, საინტერესო პიონერული საქმეებით აავსო თითოეული თქვენგანის ცხოვრება.

ოქტომბრიდან ალბათ ყველა სკოლაში განაახლეს მუშაობა პიონერული აქტივის სწავლების სკოლებმა, უფროს პიონერხელმძღვანელებთან ერთად აქტივმა მთელი წლით განსაზღვრა სამოქმედო პროგრამა. ჩვენი ჟურნალის პიონერული აქტივის კლუბი — „კოცონიც“ კვლავ შეუდგა მუშაობას. იგი საქმიან დისპუტებში მონაწილეობისათვის იწვევს ყველა საშუალო, რვაწლიანი, დაწყებითი სკოლის, სკოლა-ინტერნატის და საბავშვო სახლის რაზმეულებისა და რაზმის საბჭოების თავმჯდომარეებს, რგოლის ხელმძღვანელებს.

კლუბის ყველა შეკრება დაუსწრებლად შედგება. მის მუშაობას უხელმძღვანელებს საქართველოს პიონერთა რესპუბლიკური საბჭოს წევრი, ჟურნალისტი ნათელა ფაილოძე.

ვფიქრობთ, პიონერული აქტივისათვის ცოტაა მხოლოდ მუშაობის სურვილი, საჭიროა საქმის ცოდნა, საზოგადოებრივი მუშაკის ჩვევის დაუფლება. „კოცონის“ მიზანია დაეხმაროთ ამ ჩვევების გამომუშავებაში.

პიონერულმა აქტივმა იცის, რომ საბჭოთა ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარი ყოველი მნიშვნელოვანი მოვლენა უსათუოდ აისახება თითოეული თქვენგანის რაზმეულის ცხოვრებაში. თქვენ ალბათ უკვე იცით, რომ საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოიწონა თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ კომკავშირული ჯგუფების, თელავის რაიონის ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობისა და სანიორის კოლმეურნეობის მევენახეთა კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადების და გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ თაოსნობა საბჭოთა საქართველოს ახალგაზრდა თაობის გადაძახილის — „სწორება კომუნისტებზე“ ჩატარების შესახებ. ალბათ პიონერული აქტივის სწავლების სკოლის მეცადინეობაზე უფროსმა პიონერხელმძღვანელმა უკვე გაგაცნოთ ამ გადაძახილის დებულება.

— ალბათ, დადგება დრო და გავრიცხავთ! — თავის თავში დარწმუნებულის კილოთი თქვა სულხანმა.

— შაშვის მოკვლა ხომ ვაპატიეთ, სხვა რაღა ფაქტი გაქვთ? — გამოესარჩლა პაპუნა.

— ალბათ, გვექნება, — დინჯად ჩაილაპარაკა თემურმა.

— ჩემი ყურით მომისმენია, მამუკა თავის მამას რომ ეუბნებოდა, ღვინოს ნუღარ სვამ, სოფელი შენზე ლაპარაკობს, შეგობრებისა მრცხვენიაო, — თქვა პაპუნამ.

— გაჩუმდი, პაპუნა, ყველაფერი არ მათქმევინო! — დამუქრებით უთხრა სულხანმა.

— თქვი მერე, ვიღას უმალავ! — გაცხარდა პაპუნა.

— მამას თვითონ უმზადებს სანადირო ვაზნებს, იცი თუ არა? ერთხელ ჯიბიდან ტყვია ამოუვარდა. ის ტყვიაც შენახული მაქვს და კიდევ ბევრი სხვა რამეებიც...

— თვითონ უმზადებს?! — გაოცდა პაპუნა.

— ჰო, ჰო... თვითონ უმზადებს! — იყვირა სულხანმა.

— თუკი მამა ავალებს, რა ქნას? — გაამართლა სოსომ.

— სოსო მართალია, რა ქნას? მე მჯერა, რაკი პირობა დადო, სიტყვას აღარ გატეხს. თქვენზე კარგად მე ვიცი მისი ხასიათი... ვაზნებს თუ უტენის, ამას მამუკას დანაშაულად ვერ ჩავთვლით, — მშვიდად თქვა პაპუნამ.

— მოდით, ყველანი ერთად მივიდეთ და მოველაპარაკოთ, ნუღარ დატენის ვაზნებს, — თქვა მალხაზმა.

— მართალი ხარ, მალხაზ. მაშინ გამოჩნდება, რა ძალა აქვს ფიცს, — დაეთანხმა თემური.

— შენ რას იტყვი, სულხან, არ გვეთანხმები? — იკითხა მალხაზმა.

სულხანმა დაფიქრებული კაცის იერი მიიღო, სახეზე რაღაც დამცინავი ღიმილი გაუკრთა. უხალისოდ ჩაილაპარაკა:

— ვცადოთ. ვნახოთ, ეს ცდა რას მოგვცემს.

— კარგი აზრია, — ჭკუაში დაუჯდა პაპუნას. — ოღონდ ჯერ მე მოველაპარაკები.

— კეთილი, ეგრე იყოს, — დაეთანხმნენ ამხანაგები.

ნიჩბებითა და კეტებით შეიარაღებული ბიჭები ტყისაკენ მიმავალ გზას გაუყვნენ. სისხამი დილა იყო, სოფლის შარაგზა დიდ თოვლს დაეფარა.

„ბეროს ტყის“ გვერდით ოდნავ დაცერებულ, ქათქათა ფერდობზე პაპუნამ კაცის ნაფეხურები შეამჩნია. თითქოს დინოზავრს გაუვლიაო, იმსიფართე ტერფები ეტყობოდა. პაპუნა მიხვდა — ბერო პაპას ნაფეხურები იყო.

ბეროს წინასწარმეტყველება გამართლდა — ქარს თოვლი ხეებიდან ჩამოეყარა და ტყეს საშიშროება აღარ ეტყობოდა. მაგრამ აქა-იქ ტოტებზე შერჩენილი თოვლი მაინც ჩამობერტყეს. თოვლში ჩაფლული ბიჭები ძლივს მიაბიჯებდნენ.

ბერიკაცის ნატერფალი ტყის სიღრმეში იკარგებოდა...

●

მოულოდნელად ტყეში თოფი გავარდა.

ყველამ მზერა მთებს მიაპყრო.

პაპუნას გულისცემა აუჩქარდა. შეშინებული თვალებით გახედა ბერო პაპას ირიბად გაკვალულ ნაფეხურებს და უეცრად ადგილიდან მოსწყდა. გაუკვალავ თოვლს ძლივს მიარღვევდა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მიაქციეთ ყურადღება! — გადაძახილის მონაწილენი ხართ არა მარტო თქვენ, არამედ ის ოქტომბრელთა ვარსკვლავებიც, რომელთა ხელმძღვანელებიც თქვენა ხართ.

რესპუბლიკური გადაძახილი თავისი შინაარსით კარგად ერწყმის საკავშირო პიონერული მარშის — „მივდივართ ლენინის გზით, ოქტომბრის გზით“ — მარშრუტების მიხედვით გაშლილ რგოლებისა და რაზმების, მთელი რაზმეულის საქმიანობას. გადაძახილის დებულების მიხედვით პიონერული რაზმეულებისათვის წაყენებული მოთხოვნების შესრულებას რაზმეული მხოლოდ მაშინ შეძლებს, თუ პიონერული აქტივის მეთაურობით რაზმისა და რაზმეულის საბჭო ყოველმხრივ ეცდება პიონერული ცხოვრების აქტიურ რიტმში ჩართოს ნორჩ ლენინელთა სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობა, რგოლი, რაზმი, რაზმეული, ოქტომბრელთა ჯგუფები, თვით სკოლის პიონერული ორგანიზაციის საშეფო საბავშვო ბაღის აღსაზრდელებიც.

საქართველოს ახალგაზრდა თაობის გადაძახილში „სწორება კომუნისტებზე“ შენი, როგორც პიონერული აქტივისტის მონაწილეობა იმაში გამოიხატება, რომ რგოლში, რაზმში, რაზმეულში უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლე. მასზე შეფობა უსათუოდ ხუთოსნებმა უნდა იკისრონ. ნუ დაგავიწყდება, რომ გადაძახილში აქტიური მონაწილეობა იმას ნიშნავს, შენი რაზმი, რაზმეული აგროვებდეს ჯართს, სამკურნალო მცენარეებს, ამზადებდეს საკვებს მეცხოველეობის ფერმებისათვის, აქტიურად მონაწილეობდეს პიონერთა სამხედრო თამაშ „ცისკარში“, იწრთობდეს სხეულს სპორტის რომელიმე, მისთვის საყვარელ სახეობაში, მეგობრობდეს კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, ქარხნის თუ ფაბრიკის კომკავშირულ-ახალგაზრდულ რგოლთან, შრომითს კოლექტივებთან, მხარში უნდა ამოუდგეს თქვენთან რაზმის ხელმძღვანელად სამუშაოდ მისული ახალგაზრდებს, რომლებიც სკოლაში მოვიდნენ [illegible] მეურნეო თუ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ან შემოქმედებითი კავშირების კომკავშირულ ორგანიზაციათა დავალებებით. ისარგებლე თქვენდამი მათი შეუნელებელი ყურადღებით.

გადაძახილის დებულების მოთხოვნის შესრულება არის შენი და შენი რგოლის, რაზმის, რაზმეულის სპორტულ სექციებში, საგნობრივ წრეებში, მხატვრული თვითშემოქმედების კოლექტივებში აქტიური მონაწილეობა.

მთელი მონდომება იქითკენ უნდა წარმართო, რომ უკეთ მოეწყოს რგოლში, რაზმსა და რაზმეულში თუ ოქტომბრელთა ჯგუფებში გადაძახილის ორგანიზაცია, თვითონ შენ უკეთ შეუთავსო გადაძახილს პიონერული მარშის მარშრუტების მიხედვით რაზმისა და რაზმეულის მოქმედება. გადაძახილი ითვალისწინებს მარშის რვავე მარშრუტის მოთხოვნებს და კონკრეტულად ეხმიანება თითოეულ მათგანს. შენი რგოლის, რაზმის, რაზმეულის მიერ გადაძახილში აღებული ახალი ვალდებულებები შენი სკოლის პიონერთა ორგანიზაციის ყოველდღიური ცხოვრებიდან გამომდინარეობს და ამან ასახვა უნდა ჰპოვოს შენი ორგანიზაციის სამუშაო გეგმებში.

გადაძახილის დროს მთავარზე უმთავრესია ორი პიონერული კოლექტივის შეხვედრა; ნაკისრ ვალდებულებებში თითოეულს უსათუოდ გათვალისწინებული ექნება თავისი კოლექტივის სურვილი და მისწრაფება, ინტერესი თუ შესაძლებლობა. საქართველოს პიონერთა რესპუბლიკური საბჭოს რჩევით პიონერულმა აქტივმა ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ სწორად განისაზღვროს პიონერული მარშიდან და საი-

---

ნოდარ შამანაძე

„ანათითი — განათითი“

ნოდარ შამანაძის ახალი წიგნი, რომელიც წლეულს „ნაკადულმა“ გამოსცა, თქვენთვის და თქვენი უმცროსი და-ძმებისთვისაა დაწერილი.

ამ მომცრო კრებულში ბევრ ჭკუისსასწავლსაც იპოვნით და გასაღიმებელსაც, მოსაწონსაც და დასაგმობსაც. პოეტი წიგნს სამშობლოზე სიმღერით იწყებს და ამთავრებს („ქართველს ამშვენებს“, „სიმღერა საქართველოზე“), ქებას ასხამს ბავშვებს, რომლებიც პატივს სცემენ და აფასებენ უფროსებს („შეგიკონავ თაიგულს“), არ ეზარებათ

შრომა („ბუზი და ფუტკარი“). სამაგიეროდ, ნ. შამანაძე მწვავედ ამათრახებს სიცრუეს („მატყუარა მგელი“), სიხარბეს („საახალწლო საჩუქრები“). აბა როგორ შეიძლება პატივი სცე ისეთ ბავშვს, რომელიც ცხოველებს აწვალებს, ხან „ჯოხს უჩიჩხინებს“, ხანაც „ჭამას არ დააცლის“! ასეთი ბავშვისაგან „კაცი არ გამოვა“ („ბალი, ბალი, ბალამწარა“).

უთუოდ ღიმილს მოგგვრით „გოჭების აბანო“, „დამაცადე“, „ბაქია“ და კიდევ ბევრი მშვენიერი ლექსი, რომლებსაც ნახავთ ამ წიგნში.

ელგუჯა მერაბიშვილი

შავი გედები

„პიონერის“ მკითხველი კარგად იცნობს ელგუჯა მერაბიშვილის მოთხრობებს. ახლახან „ნაკადულმა“ გამოსცა მისი ახალი წიგნი „შავი გედები“, რომელშიც ოთხი მოთხრობაა შეტანილი. ამ მოთხრობათა გმირები უმთავრესად ჭკვიანი, მამაცი და ბეჯითი პიონერები არიან, ისინი გულმოდგინედ იკვლევენ და სწავლობენ ჩვენი ხალხის გმირულ წარსულს, ენერგიულად მონაწილეობენ ყოველდღიურ ცხოვრებაში, უფ-

უბილეო სამზადისიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი საკითხები. თითოეული თქვენგანის წინაშე, პიონერული აქტივის წინაშე დიდი ამოცანა დგას და თქვენც უსათუოდ გაღელვებთ თქვენი მოვალეობა, ფიქრობთ, თუ რა გაკეთოთ თქვენ-თქვენი რგოლის, რაზმისა და რაზმეულისათვის, როგორ უნდა იმუშაოს რგოლმა, რაზმმა და რაზმეულმა.

მთავარია ისე ააწყოთ საქმე, რომ პიონერულმა მუშაობამ ხელი კი არ შეგიშალოთ სწავლაში, არამედ დაგეხმაროთ ცოდნის გაღრმავებაში, შინ თუ გარეთ დისციპლინის განმტკიცებაში, პიონერული ორგანიზაციის მუშაობაში ჯერ კიდევ არსებული ფორმალიზმის აღმოფხვრაში. ამ საკითხში თქვენ დიდ დახმარებას გაგიწევენ უფროსი პიონერხელმძღვანელი, პედაგოგები, პიონერთა და მოსწავლეთა სახლებისა თუ სასახლეების მუშაკები.

სკოლების მოსწავლეთა და მასწავლებელთა კომკავშირულ ორგანიზაციებს უკვე დაწყებული აქვთ სამზადისი საქართველოს კომკავშირის XXXI და საკავშირო კომკავშირის XVIII ყრილობისათვის. ეს ორი დიდი მოვლენა შენი რაზმეულის ცხოვრებაში რომ ნათლად აისახოს, საჭიროა გადაძახილის დებულებით შენი ორგანიზაციისადმი წაყენებული პირობა თავდაპირველად შენ თვითონ კარგად გაიაზრო, იყო მისი მოთხოვნების პირველი შემსრულებელი, მაგალითის მიმცემი რაზმეულის თითოეული წევრისათვის, არ გამოგრჩეს ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ჰავანის XI მსოფლიო ფესტივალისათვის მზადება, ამთავითვე იზრუნე საფესტივალო საჩუქრის მომზადებაზე.

გადაძახილის მონაწილე ორი პიონერული კოლექტივის შეხვედრები უნდა იყოს საქმიანი, მაგრამ ამავე დროს საზეიმო, და უნდა დამთავრდეს სკოლისათვის თუ კოლმეურნეობისათვის, ქარხნისათვის თუ ფაბრიკისათვის სასარგებლო საქმის შესრულებით. სასურველია გადაძახილის სხვადასხვა ეტაპზე შემხვედრი რაზმების მისამართებიც შეიცვალოს, ამით მეტი საინტერესო გახდება გადაძახილის თითოეული ეტაპი.

გადაძახილის პირველი ეტაპის შეჯამება ემთხვევა „რევოლუციური დიდების კვირეულს“ და რაზმეულების საკავშირო შეკრებას „მივდივართ ლენინის გზით, ოქტომბრის გზით!“, ხოლო დანარჩენი სამი ეტაპი მარშის მარშრუტთა შეჯამების ფორმებს შეეფარდება.

რაზმეულის საბჭომ, მისმა აქტივმა ამთავითვე უნდა იფიქრონ გადაძახილის აქტიურ მონაწილეთა წახალისებაზე.

საქართველოს კომკავშირის ეს საინტერესო წამოწყება დაგეხმარებათ, განახორციელოთ თქვენი ცხოვრების მეტად მნიშვნელოვანი პრინციპი — მხარი უსწოროთ კომუნისტებს!

თქვენს წინ დიდი და ფართო სამოქმედო ასპარეზია გადაშლილი.

1978 წელს ჩვენი ქვეყანა ლენინური კომკავშირის მე-60 წლისთავს აღნიშნავს. გრძელდება საკავშირო პიონერული მარში, იგი ესტაფეტას გადასცემს კომკავშირული დიდების წელიწადს. თქვენი მარშის მომავალი დევიზი იქნება: „ჩვენ შენი საიმედო ცვლა ვართ, კომკავშირო!“.

მაშ ასე, განკარგულება გაცემულია!

პიონერული აქტივის კლუბი „კოცონი“ ელოდება თითოეული თქვენგანის წერილს, სადაც გადაძახილის შემდეგ თქვენს რაზმეულში ჩატარებული მუშაობის ყველაზე საინტერესო და საგულისხმო ეპიზოდი იქნება მოთხრობილი. საუკეთესოთა შორის საუკეთესოს გამოცდილებას კლუბი ჟურნალის ფურცლებზე განაზოგადებს.

როსებთან ერთად აშენებენ მომავალს.

მკითხველს დაინტერესებს მძაფრსიუჟეტიანი მოთხრობა „მზის ქოლგა“. გაბედული და საზრიანი პიონერი დუდა თავისი მოხერხებული მოქმედებით ამხელს დამნაშავეთა ჯგუფს და დიდი საფრთხისაგან იხსნის საკუთარ ძმას. მართალია, ეს ძვირად დაუჯდება, მაგრამ სიკეთე ხომ მსხვერპლს მოითხოვს!

წაიკითხავთ ამ და სხვა მოთხრობებს და უთუოდ შეგიყვარდებათ სურაია თუ ნოდარი, ჯუბი თუ მაია, ფანისი თუ ლელკა...

ვაჟა ყუბუსიძე

აყლაყუდა ოგროდი

ვაჟა ყუბუსიძის ლექსები თქვენ არაერთხელ წაგიკითხავთ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. ახლა შეგიძლიათ პოეტის ლექსების ცალკე წიგნი შეიძინოთ.

— „იმ ასაკში, ვისთვისაც ეს წიგნია განკუთვნილი, ბევრს არ ასწავლიან,



მაგრამ ახერხებთ მეტი შეიტყოთ, ვიდრე შემდგომ — მთელი ცხოვრების მანძილზე“, — წერს ავტორი და მთელი წიგნი ამ ახლის შეცნობის სულით არის გაჟღენთილი. ლაღად, მსუბუქად დაწერილი სტრიქონები, ასე იოლად რომ ამახსოვრდება მკითხველს, ჩაფიქრებას და „გონიერ კითხვას“ მოითხოვს, რადგან როცა ავტორი ამ წიგნს წერდა, სულ იმას ცდილობდა, სიცილს ხელი არ შეეშალა სერიოზული საუბრისათვის, სერიოზულზე საუბარს კი — სიცილისათვის.

ზაზა ბაწელაშვილი

უკანასკნელი მოსახლე

ზაზა ბაწელაშვილის მოთხრობებს ბევრჯერ შეხვედრიხართ ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე. ახლახან გამომცემლობა „ნაკადულმა“ ზ. ბაწელაშვილის ორი მოთხრობა წიგნად გამოსცა.

„მთვარის დაბადება“ ყმაწვილებს კიდევ ერთხელ შეახსენებს, რომ ადამიანის უპირველესი მოვალეობაა სიკეთის და პატიოსნების გზაზე სიარული და გზას აცდენილთათვის ხელის შეშველება.

„უკანასკნელი მოსახლე“ კი ჩვენი მთიანი რაიონების „დაობლებით“, მთის მცხოვრებთა ბარში ჩამოსახლებით აღძრული გულისტკივილის გამოძახილია.

მოთხრობები მშვენიერი ქართულით არის დაწერილი და სიამოვნებით იკითხება.

ამასწინათ ჟურნალმა რამდენიმე რჩევა მოგაწოდა იმაზე, თუ როგორ უნდა შეავსო ფიცარნაგიან იატაკში დარჩენილი არეები. ახლა კიდევ ერთ რჩევას გთავაზობთ: გადაადნე ფისი და გამდნარი სითხით ნახვრეტები და ღრეჭოები ამოავსე, შემდეგ გაციებული ფისი ზემოდან გადააფხიკე.

სათვალის მინას თუ პირი ჩამოემტვრა, გულს ნუ გაიტეხ. ჩარჩოზე რამდენიმე შრედ გამჭვირვალე ლეიკოპლასტი გადააკარი, მინა გახვრიტე, შიგ მავთული გაატარე და ლეიკოპალსტს შემოუჭირე.

პატარა ბავშვებს ხშირად უყვართ ხოლმე თითების ჩაყოფა შტეფსელის როზეტში. ხიფათი რომ თავიდან აიცილო, როზეტს დამცველი ფარი (რაიმე პლასტმასისაგან გამოჭრილი ფირფიტა) მიამაგრე. ჩვეულებრივ, იგი შებრუნებული იქნება და როზეტის ნახვრეტებს დაფარავს, ხმარებისას კი შემოაბრუნებ და ფირფიტისა და როზეტის ნახვრეტები ერთმანეთს დაემთხვევა.

როცა შინ რაიმეს ამწნილებ, მინის ჭურჭელში ჩაწყობილ მწნილს აუცილებლად მძიმე საგანი უნდა დააფარო ზემოდან. საამისოდ ელიფსური ფორმის ფიცარი გამოთალე. იგი ყოველნაირ მინის ტარას მოერგება, ხახვიანი ლიტრიანით დაწყებული და ხუთლიტრიანით გათავებული.

მიწაზე დადებული ან კედელთან გამავალი მილის ფუნჯით შეღებვა იოლი როდია: ძნელი მისადგომია. შეკერე ბეწვის ხელთათმანი, ისე, რომ ბეწვი გარედან ჰქონდეს. ხელზე წამოცმული ეს ხელთათმანი საღებავში ჩაყავი და შემდეგ მილს გაუსვი.

მსხვილი ძაფი ნემსის ყუნწში შეგიძლია თმის ღერის დახმარებით გაუყარო.

გაცვეთილი ფუნჯი ხმარებისას გაგაწამებს. ფუნჯს ასეთი რგოლი შემოახვიე ისე, რომ მოსაჭერი ჭახრაკი ექნეს და ფუნჯი კიდევ დიდხანს გემსახურება.



საძიებელი

ლენინის ანდერძს მივყვებით — (ლექსი. მთქმელი გ. დეკანოიძე) 1
გურგენიძე ა. — ოქტომბრის საგალობელი (პოემა) 2
კოხრეიძე პ. — დიდი ისტორიული დოკუმენტი (საუბარი მეოთხე) 4
ხალხი უმღერის ოქტომბერს — (ხალხური ლექსები) . . 7
კვეიძე ნ. — სანდო ბიჭი (მოთხრობა) 8
ზარდალიშვილი გ. — გამართლდა ბელადის წინასწარმეტყველება (წერილი) 9
მგელაძე ნ. — შენი საიმედო ცვლა ვართ, კომკავშირო (ნარკვევი) 10
ჩხეტიანი მ. — ოქტომბრის გზით, ლენინის გზით (პოემა) . 14
კონკურსი — ოქტომბერი ჩვენს გულებში 17
გვაზავა-სანაძე ლ. — სმოლნი — რევოლუციის შტაბი (წერილი) 18
ხეჩუაშვილი გ. — ბორჯა (მოთხრობა) 24
ფაილოძე ნ. — კოცონი (პიონერული აქტივის კლუბი) . . 27
ახალი წიგნები 30
გამოგადგები 32
კონკურსის შედეგები — გარეკანი 3,

გარეკანის მხატვრობა თენგიზ სამსონაძისა.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

მთავარი რედაქტორი გაბულია შელია.

სარედაქციო კოლეგია: დოდო ვადაჭკორია, ზურაბ ლომიძე, მარიჯანი, გაიოზ ფოცხიშვილი (მხატვარი-რედაქტორი), გიორგი ქლიბაძე, ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიანი, ლევან ჩიქვანაია, ზურაბ ჭუმბურიძე

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის—93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-03 93-53-05 განყოფილებების—93-97-02 93-97-01

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი. ლენინის ქ. № 14
«ПИОНЕРИ», на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии
Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси. ул. Ленина № 14.
გადაეცა ასაწყობად 27/IX-77 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/XI-77 წ. ქაღალდის ფორმატი 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,35. შეკვ. № 2925. ტირ. 148.200. უე 08953.

ფასი 20 კაპიკი

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.

ყურადღება!

ვაცხადებთ ნორჩ შემოქმედთა კონკურსის შედეგებს

შეჯამდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი ნორჩ შემოქმედთა კონკურსი, რომლის დევიზი იყო „ოქტომბერი ჩვენს გულებში“.

კონკურსში ჩვენი რესპუბლიკის ყველა ქალაქისა და რაიონის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა. მოწონებული მასალები გამოქვეყნდა ჟურნალ „პიონერში“.

ჟიურიმ გამარჯვებულად სცნო:

ახალაია ნინო (გეგეჭკორის რაიონის ქვემო ნაგვაზაოს საშუალო სკოლა, X კლასი) ლექსისათვის „შენ გიმღერი“;

საღლიანი ლელა (მესტიის სკოლა-ინტერნატი, V კლასი) ეტიუდისათვის „სგიმთან“;

გოგოლაძე თამარ (ახალციხის 1-ლი სკოლა-ინტერნატი) ნარკვევისათვის „სამშობლო გაგიზრდიხ!“;

დგებუაძე ირინე (ქ. მახარაძის მე-2 საშუალო სკოლა, VIII კლასი) ლექსისათვის — „სამოცი წელი“, და ჩანახატისათვის „ვედრება“;

ზეიკიძე ლალი (დუშეთის რაიონის ჭოპორტის საშუალო სკოლა, VII კლასი) ლექსისათვის „დედა“;

მარღია ელგუჯა (წალენჯიხის რაიონის პალურის 8-წლიანი სკოლა, VIII კლასი) ლექსისათვის „გვიხმობს, გვეძახის ბამი“;

მაღრაძე მზია (ახპინძის რაიონის ოშორის საშუალო სკოლა, VIII კლასი) ლექსებისათვის „მტკვარი“, „ჩემი მხარე“ და „ოშორული“;

უჩანეიშვილი დარეჯან (ქ. ცხაკაიას მე-2 8-წლიანი სკოლა, V კლასი) ლექსებისათვის „პაპანაქება“ და „შენ მახარებ, საჭართველო!“;

ფიფია ოთარ (წალენჯიხის რაიონის პალურის 8-წლიანი სკოლა, VII კლასი) ლექსისათვის „მესამოცედ გვესალმება“;

ჯანაშია დათო (გეგეჭკორის რაიონის გაჭედილის საშუალო სკოლა, VII კლასი) ლექსისათვის „გწამდეთ, დაგვიჯერეთ“;

გუნაძე მერაბ (ხულოს რაიონის ქედლების სკოლა-ინტერნატი, IX კლასი) ნახატისათვის „ეს იყო წინათ“;

გოლოვკინი იური (თბილისის 33-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი) აპლიკაციისათვის „დიდება ოქტომბერს!“;

ჭავჭარაძე მერაბ (მახარაძის რაიონის გურიანთის საშუალო სკოლა, VII კლასი) ნახატებისათვის „ოქტომბრის დღეები“ და „შეხვენებაზე“;

პაპიაშვილი გოჩა (თბილისის მე-8 საშუალო სკოლა, VII კლასი) ნახატისათვის „დიდება შრომას“;

ხინთიბიძე პაატა (ქ. მახარაძის მე-2 საშუალო სკოლა, VI კლასი) ნახატისათვის „იალაღზე“;

ნაცარაშვილი ნოდარ (თელავის მე-3 საშუალო სკოლა, IX კლასი) ნახატისათვის „ბამზე“;

შანთაძე თენგიზ (ხულოს რაიონი, საშუალო სკოლის X კლასი) ნახატებისათვის „რევოლუციის ვეტერანი მწყემსებთან“ და „სოფლის გზაზე“;

ჩიტაძე მალხაზ (ხულოს რაიონის ა. ჭონიაძის სახელობის საშუალო სკოლა, VII კლასი) ნახატებისათვის „ცხელი დღე“, „ბუდიონელები“ და „ელექტროსადგური“;

ზირაქიშვილი გოჩა (თბილისის 114-ე საშუალო სკოლა, VII კლასი) ნახატისათვის „დის პორტრეტი“;

შერგელაშვილი ნატო (ზესტაფონის მე-3 საშუალო სკოლა, IV კლასი) ნახატისათვის „დაე მუდამ იყოს მზე“;

ბაჟრაძე მაია (ზესტაფონის რაიონის ქვედა საზანოს საშუალო სკოლა, VI კლასი) ნახატისათვის „ზაფხული“;

კობაიძე ნუკრი (ზესტაფონის რაიონის ქვედა საზანოს საშუალო სკოლა, VII კლასი) ნახატისათვის „დაე მუდამ იყოს მზე“;

გოგოლაშვილი რამაზ (ზესტაფონის მე-3 საშუალო სკოლა, IV კლასი) ნახატისათვის „სინათლის გზით“;

აბესაძე მაია (ზესტაფონის რაიონის ქვედა საზანოს საშუალო სკოლა, VI კლასი) ნახატისათვის „შაბათობა“;

ჩინჩალაძე ავთო (ზესტაფონის მე-3 საშუალო სკოლა, V კლასი) ნახატისათვის „ცირკი“;

გოგოლაშვილი ნინო (ზესტაფონის მე-3 საშუალო სკოლა, V კლასი) ნახატისათვის „ბანაობა“;

მანჯავიძე ლალი (ზესტაფონის მე-3 საშუალო სკოლა, V კლასი) ნახატისათვის „ფანჯარასთან“.

ბაცანაძე ნანა (გურჯაანის რაიონის კაჭრეთის საშუალო სკოლა, IX კლასი) ქანდაკებისათვის „მეჩაიე გოგონა“;

სიხარულიძე ნინო (ჩოხატაურის რაიონის გოგოლეისუბნის 8-წლიანი სკოლა, VI კლასი) ხეზე ამომწვარი ნამუშევრისათვის „განთიადი“.

ჟიურიმ ძირითადად მოიწონა შემდეგი ავტორების ნამუშევრები:

აზმაიფარაშვილი არჩილის (თბილისის მე-14 საშ. სკოლა, X კლასი) ლექსი „უსათაურო“; ანთაძე ნანას (ლანჩხუთის რაიონის ჯორუყვეთის 8-წლიანი სკოლა, VI კლასი) ლექსი „დიდება მარად!“; გაზუაშვილი მაიას (ყვარლის მე-2 საშ. სკოლა, IV კლასი) ლექსი „ჩემს მახწავლებელს“; თერგიაშვილი გოჩას (თბილისის 57-ე საშ. სკოლა, VIII კლასი) ლექსი „რევოლუციას“; კობახიძე თეას (რუსთავის მე-18 საშ. სკოლა, VIII კლასი) ლექსი „ტკბილია“; მახარაძე ნატოს (სოფ. ქობულეთის საშ. სკოლა, VII კლასი) ლექსი „ოქროს ხელი“; შანიძე თამარის (თბილისის 137-ე საშ. სკოლა, III კლასი) ლექსი „გაზაფხული“; ჯიქია ნანას (ზუგდიდის მე-2 საშ. სკოლა, IV კლასი) ლექსი „ოქტომბერი“; არაბიძე მანანას (თბილისის მე-6 საშ. სკოლა, VII კლასი) მუსიკა „ოქტომბრის ყვავილები ვართ“ ი. სიხარულიძის ტექსტზე; ცინცაძე ნინოს (ლანჩხუთის საშ. სკოლა, II კლასი) მუსიკა „ანა-ბანა“ მ. ფოცხიშვილის ტექსტზე; გოზალოვი ნუგზარის (კასპის 1-ლი საშ. სკოლა, VII კლასი) ნახატი „თავდადება“; გოგოშვილი თემურის (გურჯაანის რაიონის შაშიანის საშ. სკოლა) ნახატი „იერიში ზამთრის სახახლეზე“; თავგერიძე მანანას (ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის საშ. სკოლა, IV კლასი) ნახატი „თუშეთის მთებში“; აკვაზბა ჯემალის (ხელვაჩაურის რაიონის ჭარნაულის საშ. სკოლა, VIII კლასი) ნახატი „შეხვედრა“; მელაძე ნანის (ხულოს რაიონის სოფ. ოქტომბრის საშ. სკოლა, VII კლასი) ნაქარგი „ჩემი ქვეყნის ყვავილები“; კინწურაშვილი დათოს (ქუთაისის მე-18 საშ. სკოლა, V კლასი) ილუსტრაცია ა. გაიდარის მოთხრობისა „კვამლი ტყეში“; კირკიტაძე ირმას (ზესტაფონის მე-3 საშ. სკოლა, IV კლასი) ნახატი „უცნობი ჯარისკაცის საფლავთან“.

ზესტაფონის მე-3 საშუალო სკოლის მოსწავლეების ფ. გუნცაძის, ი. კობახიძის, ზ. ძაბირაძის, გ. გიორგაძის, გ. შველიძის, რ. სიხარულიძის, გ. მუმლაძის ნახატები, რომელთა გამოქვეყნება კონკურსის პერიოდში ვერ მოხერხდა, დაიბეჭდება „აისის“ ფურცლებზე.

კონკურსში გამარჯვებულები ზამთრის არდადეგებზე მოწვეული იქნებიან ჟურნალ „პიონერის“ რედაქციაში, სადაც შეხვდებიან სბავშვო მწერლებს, მხატვრებს, კომპოზიტორებს და გადაეცემათ საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის სიგელები, სამახსოვრო საჩუქრები.

6282/238